

სამეგრეოთში მოვიყო რას წაქართველოთ ვნახე - რაღაც წაქართველოთ

საშაბრალო

№5 (52) 1.05.2016 - 1.06.2016

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

ქრისტე აღდგა

მინაზ კოსტავა
ისევ იმდინაზს
საქართველო
შავდამოს, მინაზ!



21

თახაჯა
ჯაოშვიდი
ღვთის
სახსნული

ეთერ ქაქულია

14

ის არ
მოგვდარა,
მხოლოდ მისი
სმე დააკლდა
ქალაქს

ნონა
გაფრინაშვილი
ჭადრაკის
დედოფალს
მარსკვლავი
გაუხსნეს

მეგობრის ხმა

ISSN 1987-8524

სრულიად საქართველოს სწავლება





771987852005





**ზუგდიდის ვლახების ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის ხატი**

დაბრუნებული და დაბრკანებულია სვეტიცხოვს
დედაქალაქის ზუგდიდის საღვთისმშობლის კარის ეკლესიაში



ს ა რ ჩ ე ვ ი

	სააღდგომო ეპისტოლე..... 2
	6 მაისი — წმიდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღე..... 3
	ანდრია პირველწოდებულის საქა- რთველოში შემოსვლის დღე 3
	მერაბ კოსტავა. ისევ იმღერებს სა- ქართველო შავლეგოს, მერაბ!.... 4



ეკა სალაღია



	რომელი ქვეყნის მონარქის ნაქონ ხმაღში გადაიხადა იარაღის კოლე- ქციონერმა თეიმურაზ ჯალაღო- ნიამ 20 000 დოღარი 10
	საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში ჟურ- ნალისტები დააჯიღდოღეს 13

გივი სიხარულიძე




	რამდენი ფერი ჰქონია სიყვარულს 14
	ეთერ კაკულიას 14
	სასაფლაოდან სასაფლაომდე ... 15

ვლადიმერ გოროზია

	კულტურის განვითარება ჩხოროღწყუმი..... 16
	ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მსხვერპლი 20

	ნინო რეხვიაშვილი რას წერს გერმანული პრესა ქარ- თული სასწაულის შესახებ 21
	ვისი გორისა ხარ..... 22


კოტე ჭურღულია

	ჭურღულიების გვარის შესახებ 24
	26 მაისი დამოუკიდებ- ლობის დღე..... 27
	9 მაისი..... 28

ნინო რეხვიაშვილი

	„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ 30
	ლეგენდები და თქმულებები სამეგრელოზე 32
	ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სალოცავებს ცოცხალი ვარდებით რთავდნენ 34
	ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს 36
	ქალაქ ზუგდიდის მერია ხალხის სამსახურში 38

ეთერ ერაძე

	როგორ მოხვდნენ მეგრელები ნაპოლეონის არმიაში? 40
---	--

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარციანი

ტექსტი აანყო

თამარ გოზინაძე

მვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟინაღუი მასაღების
მანთავსება ფასიანი!**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნივერსალის და უნიტარის, ილია II-ის საადგომო ეპისტოლე

ქრისტე აღდგა!
ქრისტე აღდგა! – გუგუნებენ ეკლესიის ზარები
ქრისტე აღდგა! დღესასწაულობს ცა და ქვეყანა
ქრისტე აღდგა! – სიხარულით ვღალაღებთ ჩვენც
და არამიწიერი გრძნობით აღვსილნი ბოროტების
ბატონობის დასრულებას ვზეიმობთ.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევადი შენი?“ (I კორ. 15,55).

დღეს ყველა ბედნიერია, - მდიდარი თუ ღარიბი,
მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯანმრთელი თუ სნეული...
ურწმუნო ადამიანიც კი სხვა გრძნობითაა განმსჭვალული.

- რატომ არის ასეთი ყოვლისმომცველი ეს ზეიმი?

- იმიტომ, რომ მაცხოვარმა აღდგომით ზეცის
კარიბჭენი გახსნა ყველასთვის და ადამის მთელი მოდგმა
ადამის ცოდვის გამომსყიდველს შეჰხარის.

- მაგრამ რის ფასად მოგვენიჭა ეს
ბედნიერება?

„შენთვის ღმერთი შენი ვიქმენ ძედ
შენდა; შენთვის უმაღლესი ზესკნელთა
გარდამოვხედ ქუეყანად და ქვეყანით შთავხედ
ქუეშე ქუეყანისა, რათა ხრწნილებისაგან
აღვადგინო,“ - ვკითხულობთ დიდი შაბათის
საკითხავში.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი თავის შეცნობა
და ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების
გაცნობიერება.

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ,
მომაკვდინებელი ვნებები შემდეგია: გემო-
თმოყვარება, სიძვა, ვერცხლისმოყვარება,
მრისხანება, მოწყინება, უიმედობა, დიდებისმოყვარეობა
და ამპარტავნება. სხვა ყველაფერი მათგან
მომდინარეობს. ამა თუ იმ ცოდვამ ადამიანში თუ ღრმად
გაიდგა ფესვი, მას დამღუპველი ზემოქმედება აქვს.

ამიტომაც, ნუ იფიქრებ, რომ თუ შენ, მაგალითად,
კეთილი ხარ, მაგრამ ლოთი, ეს ცოდვა მაძიებდ არ
იმოქმედებს შენს მომავალ ცხოვრებაზე. ან, თუ გონიერი
ხარ, მაგრამ შურიტ სავსე, ეს ხელს არ შეგიშლის
ცხოვნებაში.

„ვინც თქვა არ იმრუშო, ისიც თქვა: არა კაც ჰკლა.
ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ კაცს მოკლა, რჯულის
დამრღვევი ხარ.“ (II ტიმ. 2, 10-11). ამასთან, ვნებებს
შორის უხილავი, მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირია
და თუ ადამიანი ერთ-ერთმა მათგანმა ჩაითრია, ის ერთი
სხვა ვნებებსაც მოიზიდავს.

ნუ მივესგავსებით მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულ
იმ ავაზაკს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზეც და
ძელზე ყოფნისასაც ვერ გაიგო, რა იყო სიცოცხლის აზრი,
ვერც ქრისტე შეიცნო, და კიდევ უარესი, - ბოლომდე
შეურაცხყოფდა და დასცინოდა მას.

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ მდგომარეობისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრება
სერიოზული პრობლემების დაძლევის გულისხმობს. რა
თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება,
ღვარძლი, გაჭირვება, შური...და დგება ისეთი
მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხვდება: „მამაო ჩემო!
თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი“ (მთ. 26,39), ანდა
„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე“
(მთ. 27,46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ
ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთვაც
არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების ყამს მასვე უნდა
მივმართოთ, სულიერი ღვანლი განვადლიეროთ და
პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალაი მდგომარეობა არ არსებობს!

ხოლო ის, ვინც სისუსტის, შიშის თუ სხვა რაიმე
მიზეზის გამო თვითმკვლელობით ამთავრებს
სიცოცხლეს, რთულ სიტუაციას კი არ განერიდება,
არამედ მარადიული ტანჯვის მორევეში შედის. ამიტომაც,
ვისაც ასეთი ფიქრები გაუჩნდება, მსწრაფლ უნდა
მოიშოროს თავიდან, მოძღვართან მივიდეს აღსარება
თქვას, რათა სულიერად განმტკიცდეს და ბოროტის
მარწუხებისგან თავი დაიცვას.

სამწუხაროდ, ბოლო დროს თვითმკვლელობის
ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა გარდამავალი ასაკის
ახალგაზრდებს შორის.

მათში ემოციური ფონი გაძლიერებულია. ამასთან,
გარემოს შეცნობისა და ძიების პროცესი მიმდინარეობს,
რასაც შეიძლება არასწორი მიმართულება მიეცეს.

ამიტომაც, ჩვენს გოგონებსა და ვაჟებს ამ
პერიოდში მშობლებისაგან მეტი ყურადღება
სჭირდებათ. მართალია, ეკონომიურმა
გაჭირვებამ დედაც და მამაც აიძულა, რომ
ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე
სახლის გარეთ დაჰყონ, მაგრამ შვილზე
მზრუნველობა უმთავრესია და აქ, როგორც
ქალის, ისე მამაკაცის, პასუხისმგებლობა
თანაბარია.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა
მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით,
ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები,
მათ მეგობრად უნდა ექცეთ, მეტი სითბო
აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით,
ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად
მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც
აუცილებელია და მათთვისაც.

თითოეულ ჩვენგანს სასწაულთმოქმედების უდი-
დესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივუხდებით და
ცოდვებისაგან განვთავისუფლდებით, ჩვენს სულში დიდი
ცვლილების მომსწრენი გავხდებით. ამისი მაგალითი
არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი
ადამიანები იყვნენ, როგორც ჩვენ ყველანი, ბევრ
მათგანს ადრე ჩვენზე არანაკლები სისუსტეებიც
შეიძლება ჰქონდა, მაგრამ სინანულით, აღსარებით,
ზიარებით და სულიერი ღვანლით ზეციურ სასუფეველს
მიადნინეს. ამიტომაც წერს ნეტარი ავგუსტინე, წმინდანთა
რიცხვი ყოფილ ცოდვილთა რიგებიდან მრავლდებაო.

მამ, შევიმოსოთ სიხარული, ქართველნო, აფხაზნო,
ოსნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო,
აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ასირიელნო, უდინნო,
ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ქურთნო, იეზიდნო და ყოველნო
მკვიდრნო ივერიისა და უცხოეთში მცხოვრებნო
თანამემამულენო!

მაცხოვარი დღეს იმედით აღავსებს მთელ სამყაროს;
თითოეულმა ჩვენგანმაც ვიქონიოთ სასოება იმისა, რომ:
„დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და
მაცხოვნებს მე თავის ზეციურ სასუფეველში.“

ქრისტე აღდგა!

აღვდგეთ და ამიერიდან ჩვენც „წარვიდეთ სიკვდი-
ლისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან
უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან
თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავ სოფელსა შინა“. ამინ!

თქვენთვის მლოცველი
ილია II

ივანე პაპიკიანი

6 მაისი – წმიდა დიდმონაგე გიორგის აღსრულების დღე

მართლმადიდებელი ეკლესია 6 მაისს წმინდა დიდმონაგე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს.

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძლევამოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით, იგი რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს, მხედართმთავარი გახდა.

ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. მან მრავალი სატანჯველი მოითმინა, მათ შორის - ბორბალზე გაკვრა. წმინდანს 303 წელს, 30 წლის ასაკში, მოკვეთეს თავი. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევამოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

წმინდა გიორგი კაბადოკიელის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები კათოლიკები, პროტესტანტები,



გრიგორიანელები, მონოფიზიტები სცემენ თაყვანს. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში, ყურანშიც კი მოიპოვება.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს - წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს აღნიშნავს.

წმიდა დიდმონაგე გიორგის მეოხებით ღმერთმა გაძლიეროს სრულიად საქართველო!

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღე




12 მაისს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ანდრიას უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომაც ეწოდა პირველწოდებული. მაცხოვრის პირველი მოციქული, პეტრე მოციქულის ძმა, საქართველოში უფლის მცნებების საქადაგებლად უშუალოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დავალებით გამოემართა.

საქართველოში წამოსვლამდე მას დედაღვთისამ მოუწოდა და ამცნო, რომ მის წილხვედრ ქვეყანაში წმ. ანდრიას უნდა ექადაგა.

უფლის მოციქული პირველად ქართლის ტერიტორიაზე, დიდ აჭარაში შემოვიდა. მას თან ჰქონდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ხელთუქმნელი ღვთისმშობლის ხატი.

წმ. მოციქული ანდრია საბერძნეთის ქალაქ პეტრაში ჯვარზე დაკიდებული აღესრულა. მის ხსენებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორჯერ აღნიშნავს: **12 მაისსა და 13 დეკემბერს.**



მერაბ კოსტავა

ისევ იმდარბს საქართველო შავლებოს, მერაბ!

საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა დაიბადა 1939 წლის 26 მაისს ქ. თბილისში ოლღა დემურიასა და ივანე კოსტავას ოჯახში. მისი მშობლები ივანე და ოლღა, განათლებული, კულტურული ადამიანები იყვნენ. ბაბუა კი, ვლადიმერ დემურია, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მერაბ კოსტავას პიროვნების ჩამოყალიბებაში ბაბუასა და მშობლებთან ერთად დიდი როლი ბიძამ, ცნობილმა მსახიობმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა გრიგოლ კოსტავამ (მედეა ჯაფარიძის პირველი მეუღლე) ითამაშა, რომელიც პოლიტიკური აქტიურობისთვის ციმბირში გადაასახლეს. მისი თავისუფლებისმოყვარე იდეები ბავშვობიდან აყალიბებდა მერაბს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად.

1946 წელს მერაბი შეჰყავთ თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში. გამოირჩეოდა ნიჭითა და სიბეჯითით. მეგობართა წრეში დიდი სიყვარულით

სარგებლობდა. მუდამ შემართული იყო მათ დახმარებასა და თანადგომაში.

მერაბს კარგი მუსიკალური მონაცემები აღმოაჩნდა დამე-9 კლასიდან სწავლას აგრძელებს ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში. მას შეეძლო ცნობილი ხელოვანი გამხდარიყო: კარგად უკრავდა, მღეროდა, წერდა ლექსებს, მაგრამ ბავშვობიდან მისი მისია თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. მეგობრების და მათი თანამოაზრეების ზნეობრივად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ქართველმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან იწყება მერაბ კოსტავას პოლიტიკური მოღვაწეობა. სკოლაში გაიცნო და დაუმეგობრდა ზვიად გამსახურდიას. იგი ზვიად გამსახურდიასთან და რამდენიმე თანატოლთან ერთად აარსებს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პირველ პატრიოტულ არალეგალურ ორგანიზაციას “გორგასლიანი”.

1956 წლის დეკემბრის სუსხიან დღეებში თბილისში, რუსთაველისა და პლენანოვის გამზირებზე, იმ დროისთვის გამოგნებელი შინაარსის პროკლამაციები გაჩნდა: “ძირს პირსისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!”. ანტისაბჭოთა პროკლამაციების გაკვრა-გავრცელების გამო საიდუმლო ორგანიზაცია “გორგასლიანის” წევრები დაიჭირეს. ასე მოხდნენ სკოლის მერხიდან საპურობილეში იმდროინდელი თბილისის ელიტური ოჯახების შვილები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, გურამ სხირტლაძე, ანატოლი მიქაძე, გურამ დოჩანაშვილი მერაბ კოსტავა მაშინ მეთავე კლასის მოსწავლე იყო. ექვსი თვის შემდეგ, როგორც არასრულწლოვანი, პირობითი



სასჯელით გაათავისუფლეს.

1958 წელს მერაბ კოსტავა ამთავრებს ათწლიედს და წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. კონსერვატორიაში სწავლისას, პროფესორი ლადო დონაძე, რომელიც მერაბის სადიპლომო ნამუშევრის – “ბაირონი დასავლურევეროპულ სიმფონიურ მუსიკაში” ხელმძღვანელი იყო, ამბობდა: “არც მერაბ კოსტავამდე და არც მას შემდეგ კონსერვატორიაში დიპლომი ასე არავის დაუცავს!” კონსერვატორიის დასრულების შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობს მუსიკის მასწავლებლად რუსთავისა და თბილისის II სამუსიკო სასწავლებელში.

1967 წლიდან იწყებს მუშაობას რედაქტორად ჟურნალ “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”. აქვეყნებს მთელ რიგ წერილებს ქართული მუსიკისა და თეატრის განვითარების საკითხებზე.

1972 წელს მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად აყალიბებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს. რეპრესიები მის წინააღმდეგ არ წყდებოდა. სუკ-ი გამომდებით უთვალთვალებდა. მის სახლთან ყოველთვის მორიგეობდა უშიშროების მანქანა. მერაბიც უმალ ცნობდა მათ. ხშირად უთქვამს: „მთელი დღე აქ დგანან, მოშივდებოდითო” და საჭმელი გაუზზავნიან მოთვალთვალეებისათვის.

1977 წლის 7 აპრილს მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად დააპატიმრეს. მერაბ კოსტავას 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. საბაბი ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, ჟურნალ „ოქროს სანმისის” გამოცემა იყო. “ჩვევად გვქონდა, მე და მერაბი დილით ეზოში ჩამოვსხდებოდით ხოლმე. ერთ დღესაც გამოვედი და მერაბი არ დამხვდა. მისი აივნისკენ გავიხედე და შევნიშნე, ვილაც იდგა ფარდის უკან. მისი ნათქვამი გამახსენდა, დამიჭერენო. ეზოს ჭიშკარს გავხედე – ორი საეჭვო უცნობი იდგა. მივხვდი, მერაბის სახლში კა-გე-ზე იყო შესული” – იხსენებს მერაბის დაპატიმრების შემთხვევას მისი მეგობარი.

1980 წელს გადასახლებულ იქნა ირკუტსკის ოლქში, ტაიშეტის რაიონის დაბა კვიტოკში. დედამ და მისმა მეგობარმა მოახერხეს მერაბის მონახულება. “ჩვენ ეზოში ვიდექით. ისე აღელდა, უკან გაბრუნდა, ახლოს მოსვლა ვერ შეძლო. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა და გადაგვეხვია ავტირდი. მერაბი კი მტკიცე კაცი იყო, მის თვალზე ცრემლი არასდროს დამინახავს. ერთი კვირა დავრჩით კვიტოკში, მერაბმა თავისი მოყვანილი ბოლოკი და წინმატი მოიტანა სუფრაზე და შემოგვჩვილა, აქ პატარა ბოსტანი გავაკეთე, იქ, ჩვენთან, ბოლოკი კონად მოდის, აქ კი სათითაოდ იკეთებს თავსო. გაგვეცინა, არ იცოდა, რომ ჩვენთანაც სათითაოდ მოდიოდა ბოლოკი და უბრალოდ შეკონილი იყიდებოდა” – იხსენებს ზურაბ შაუთიძე.

გათავისუფლებამდე რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი, როცა პროვოკაცია მოუწყვეს, 5 წელი დაუმატეს, როგორც “ხულიგანს” და ციმბირში ქ. ანგარსკში გაამწყვეს. მერაბ კოსტავა შეურიგებლად იცავდა არა მარტო თავის, არამედ ყველა პატიმრის ღირსებას და ის ზედმეტი ხუთი წელი სწორედ ამ შეურიგებლობის საზღაური გახდა. უცნაურია, მაგრამ სუკ-შიც და ციხეშიც დიდ პატივს სცემდნენ. მისი მიმტვეველი და კაცთმოყვარე ბუნება ერთნაირად ალაფრთოვანებდა მილიციელსაც და პატიმარსაც.

ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში



ყოფნის პერიოდს მერაბი ასე იხსენებს: “პერმის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას კარცერში ჩამაგდეს, ტრუსების ამარა, 40-გრადუსიან ყინვაში. რკინის გისოსები მჭიდროდ მქონდა შემოჭერილი. მხოლოდ სიმაღლეში იყო დარჩენილი 10-15 სანტიმეტრი და მთელი ღამე ხტუნვაში გავატარეო. როცა მეორე დილით, ზედამხედველები ჩემს „გასატანად” მოვიდნენ, გაოგნებული დარჩენენ, როცა დავუძახე: „პრივეტ, ბრატცი!”

1978 წლის ზაფხულში მერაბ კოსტავა ამერიკის კონგრესის მიერ წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე. იმ პერიოდში მერაბის შესახებ ფართო საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა; მასზე ინფორმაცია ძირითადად დისიდენტურ წრეებში და მის სამეგობროში ჰქონდათ. ციმბირში ყოფნის დროს, 1985 წელს, თბილისში მერაბის ერთადერთმა ვაჟმა – 25 წლის ირაკლი კოსტავამ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

პოლიტიკური ზენოლის შედეგად, ხელისუფლება იძულებულია, გაათავისუფლოს მერაბ კოსტავა. 1987 წლის 30 აპრილს იგი 10-წლიანი პატიმრობიდან სამშობლოში ბრუნდება. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მას არაერთი “თბილი” თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მერაბმა მუსიკის მასწავლებლობა არჩია, ასწავლიდა ბარნოვის ქუჩაზე, მუსიკალურ შვიდწლედში.

ციცინო ვალაფირიძე: „ახალი ჩამოსული იყო, როცა ჩემთან სახლში მოვიწვიე. იმჟამად

ტრანსკავკასიური რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით დიდი ამბები იყო ატეხილი. სუფრაზე ჩემმა მეგობარმა მერაბს ჰკითხა – “ბატონო მერაბ, მგონია, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს რკინიგზა არ უნდა გავიდესო”. იმ წუთში რკინიგზის პრობლემა ძალიან პატარად ეჩვენა და ერთობ უცნაური პასუხი გასცა – “რა თქმა უნდა, არ უნდა გავიდეს, მაგრამ გავა თუ არ გავა ტრანსკავკასიური რკინიგზა, საქართველო მაინც იქნება დამოუკიდებელი ქვეყანა! ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ხალხი შევამზადოთ დამოუკიდებლობისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობა გარდაუვალია!” ამის გაგონების შემდეგ ჩემი მეგობარი შეცბა, რადგან იმ წუთში დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მერაბს საქართველოს მომავალზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი; იმ წუთში არ თქვა, მაგრამ მან იცოდა როგორ და რა გზით უნდა გაეკეთებინა ეს ყველაფერი. ამის შესახებ ჩემთვის არაერთხელ უთქვამს; რასაც ამბობდა, ძალიან მომწონდა, მაგრამ განხორციელება უტოპიურად მიმაჩნდა. მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ მერაბი მართალი იყო, მას ეს ყველაფერი გააზრებული ჰქონდა“.

მერაბ კოსტავას საქართველოში დაბრუნებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება მოჰყვა და ქვეყნის დამოუკიდებლობა შეუქცევადი გახდა.

1987 წლის 26 მაისს, ჯავახიშვილის 1-ში (ამჟამად ზანდუკელის ქუჩა), მერაბის ეზოში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს.

ციცინო მაღლაჭირიძე: „30-მდე ახალგაზრდა შეიკრიბა. მცირერიცხოვანი, მაგრამ პირველი მიტინგი ჩატარდა. ჩვენთვის ეს მაშინ სიახლე იყო. მერაბმა სიტყვით გამოსვლისას ამ დღის მნიშვნელობა ახსნა და დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ისაუბრა. შემდეგ თავისი სახლის სახურავზე სამფეოვანი დროშა აიტანა და დაკიდა. დაახლოებით საათნახევარში მილიციელები მოვიდნენ და მერაბს დროშის ჩამოღება მოსთხოვეს. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს. მერე დროშა თავად მილიციელებმა ჩამოიღეს, რაზეც მერაბმა ასეთი რამ უთხრა – „ცოტა ხანში მთელ საქართველოში, ყველა სახლის სახურავზე ეს დროშა იქნება აღმართულიო“.

მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად 1987-1990 წლებში გამართულ თითქმის ყველა საპროტესტო აქციის, გაფიცვის, შიმშილობის, მიტინგისა და დემონსტრაციის ორგანიზატორია. ზვიადი და მერაბი განუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთხელ დედამისისთვის უთქვამს – „დედი, არ გენყინოს,

მაგრამ ჯერ უფალი მიყვარს, მერე ზვიადი, მერე კი შენო“. ზვიადს რომ დაინახავდა, თურმე აღარავინ ახსოვდა. მასთან ერთად ხელმძღვანელობდა მიტინგებს 1988 წლის ნოემბრის დღეებსა თუ 1989 წლის აპრილში. 9 აპრილის ღამეს უშიშრად იდგა საკუთარი ხალხის გვერდით. ხალხმა მას სიყვარულით „შავლეგო“ შეარქვა და შალვა ახალციხელივით მარადისობას აზიარა.

1989 წლის 9 აპრილს მ. კოსტავას კვლავ აპატიმრებენ მიტინგის ორგანიზებისათვის. 40 დღის შემდეგ გაათავისუფლეს. 9-ში დატრიალებული ტრაგედიის გამო დანაღვლიანებული და იმავდროულად გაკვირვებული იყო, ხალხი ვერ იცნო – “ასე მოკლე დროში, ასეთი მეტამორფოზა, ძალიან იშვიათად ხალხმა განიცადოსო“.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, საქართველომ მკვეთრად აიღო გეზი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისკენ. როდესაც მერაბს ეკითხებოდნენ, თუ რა თანამდებობას დაიკავებდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში, ის პასუხობდა: „მე სოფელში წავალ, თოხსა და ბარს ავიღებ და მიწაზე ვიმუშავებო“.

ეროვნული მოძრაობის აზვირთების წლებში (1988–1989) მერაბ კოსტავას დახმარებისთვის უამრავი ადამიანი აკითხავდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ციცინო მაღლაჭირიძე: „ყველა თავის გაჭირვებაზე ჩიოდა. თავიდან რამდენიმეს დაეხმარა, სადღაც გაჰყვა, პრობლემა მოუგვარა. ეს ამბავი უცებ გავრცელდა და მერაბის სახლს გაჭირვებული ადამიანების დიდი ტალღა მოაწყდა. მაშინ თქვა – “რას ვხედავ ამას! ხალხი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მერჩინა ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე ის მენახა, რასაც ახლა ვხედავო“. ძალიან აწუხებდა ის, რომ ადამიანები თავიანთ წვრილმან პრობლემაზე შორს არ იხედებოდნენ. ანუ არ ფიქრობდნენ იმაზე, რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი. მიუხედავად ამისა, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველას ეხმარებოდა, დღე-ღამის ნებისმიერ დროს აკითხავდნენ სახლში“.

ერთმა ქალბატონმა მერაბს დაკარგული ძროხის პოვნაში დახმარებას სთხოვა – “ძროხა დამეკარგა, შეიძლება ჩემმა მეზობელმა წაიყვანა და გთხოვ მაპოვნინეო“. მერაბი ამ ქალბატონის პრობლემას გულგრილი არ დაუტოვებია. დაკარგული ძროხის შესახებ ფიქრობდა: “ახლა ამ ადამიანისთვის ძროხა არის მთავარიო“.

მერაბ კოსტავა საზოგადოების გამთლიანებისთვის იბრძოდა. 1989 წლის ზაფხულში ერთი



სატელევიზიო პაექრობისას მერაბ კოსტავამ განაცხადა: თუ ერთმანეთთან ვერ გამოვნახავთ სალაპარაკო ენას დღეს, შესაძლოა დადგეს დრო განუჭვრეტელი სიბნელისა, სადაც ჩვენ ერთმანეთს დაბრმავებული ვეძებდით და ველარ ვპოვებდითო.

ლალიძის ხიდთან ერთ მხარეს თბილისიდან დაძრული ქართველები იდგნენ, მეორე მხარეს – კირუსის ჯარი. ყველა ისეთ გულზე იყო, რომ ძალით შევარდნილიყვნენ. ეს იყო რუსეთის პროვოკაცია, რომელსაც ქართველები წამოეგებოდნენ. მერაბ კოსტავა ჩაუდგა წინ მომიტინგეებს და ყველას სთხოვა, რომ უკან გაბრუნებულიყვნენ. ქართველების მხრიდან ვილაყამ გაისროლა. ბედად დროზე აუკრეს ხელი იარაღზე. არ წამოვეგეთ პროვოკაციაზე და რუსების გეგმები ჩაიფუშა იმ დროს. სწორედ 1 კვირის თავზე მოკლეს შემდეგ კოსტავა.

სიკდილამდე 1 დღით ადრე მერაბ კოსტავას ინიციატივით იქმნება საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი, რომელიც ითვალისწინებდა იმავე მიზნების აღსრულებას, რაც თავს იდო მე-19 საუკუნის II ნახევარში დიდი ილიას მიერ დაარსებულმა სათავადაზნაურო ბანკმა.

1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან

თბილისს მომავალი მერაბ კოსტავა სოფელ ბორითთან (ხარაბაშულის რაიონი) ტრაგიკულად დაიღუპა. იმ დღეს თბილისის ქუჩაგმა ლამის მთელი საქართველო დაიტია – ყველამ გულწრფელად დაიტირა სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული მამულიშვილი. სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს და მთანმინდაზა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. იქვე ბანისპინებას მისი სულიერი ძმა ზვიად გამსახურდია.

მერაბ კოსტავა იშვიათი მუსიკალური მონაცემების მქონე, ნიჭიერი მუსიკათმცოდნე, თეატრალური კრიტიკოსი, პოეტი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი და პედაგოგი იყო. მერაბ კოსტავას კალამს ეკუთვნის ნაწარმოებები: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“; „ფიქრები ქართულ კულტურაზე“ და ა.შ. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მიენიჭა დავით აღმაშენებლის და მწერალთა კავშირის პრემიები.

1993 წლის სექტემბერში ქ. ზუგდიდში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მესამე მოწვევის მეორე სესიამ მერაბ კოსტავას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

მართალი კაცი

ერთხელ მეგობარმა დამირეკა, კოსტავა გამოვიდა და სადილზე გინვევო...


რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი.

მერაბს კარგად ვიცნობდი, მაგრამ სუფრასთან რა მოგახსენოთ, — არასოდეს ვყოფილვართ ერთად.

ღრმადღეღეში მივედი, სუფრას ქალაქში ცნობილი მომღერალი ბიჭები უსხდნენ, სუფრის წევრთა შორის, ერთი მათგანი გახლდათ ანზორი, ნატანჯი კაცი, რომლის სამყარო უცხო და შორეული იყო ჩემთვის, მერაბისთვისაც, მაგრამ თოვლისა

და ყინულის კოლონიაში რატომღაც მაინც ერთად „ისხდნენ“...

ჰყვებოდა ანზორი: — მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ პატივს ვცემდი მის მართალკაცობას და ვაყვაცობას, იგი ჩემს სანახავად მოვიდა საავადმყოფოში. დერეფნიდან გავხედე, როგორ მოჰყავდა მეორეს გამხდარი, ცარიელი ძვალი და ტყავი, სანთელივით ყვითელი და მთლად მიმქრალი კაცი. ამ დროს, საიდანღაც დერეფანში კოლონიის უფროსი გამოჩნდა, მერაბმა გვერდით მყოფს ქართულად გადაულაპარაკა:



ბიჭო, ხელი გამიშვი, მაგას ნირნამხდარი ვეგონები და გაიხარებსო...

უცებ, წელში გასწორდა, გაიმართა, ბეჭები შეარხია და აზნაურული ნაბიჯით წელ-წელა, დინჯად გამოემართა ჩემსკენ... ჩემთვის გავიფიქრე, არა, ძმაო, საქართველოს დამჩოქებელი ქვეყნად მტერი არაა-მეთქი...

ამის გაგონებაზე მერაბს ლამაზად ჩაეცინა...

ამასობაში ღვინოც მოეკიდა, ბრდღვინავდა და სადღეგრძელოში წამდაუნუმ იმეორებდა — „მარრა“, „მარრა“, ესე იგი, კარგია პუშკინი, მარრა, ილიამ სთქვა:

„დედაო ღვთისაჲ, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა, საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია, ჩაგრულ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა“!

„ესე იგი“, „მარრა“, იმეორებდა ამ ორ სიტყვას მძვინვარედ, გამომწვევად, მრავალმნიშვნელოვნად, დაძაბულად.

მე პირველად ვხედავდი ამ სუფთა და მართალ კაცს ღვინით და სიყვარულით გათამამებულს...

მერაბ კოსტავა სულ სხვა კაცი იყო, საქართველოსათვის შენირული სიამაყე, ფეხზე მოსიარულე თავისუფლება, ხოლო მისი სიცოცხლე იყო მზადება, მარადიული მზადება რაინდული სიკვდილისათვის.

ახლაც ყურს მიხედნიან მორიდებით და სევდით ნათქვამი მისი სიტყვები: „ჩვენ ეს არ გვინდოდა“, „დიდად ვწუხვართ“, თან ზვიად გამსახურდიას იმონებდა... ეს სიტყვები ითქვა იმ ტრაგიკული 9 აპრილის შემდეგ, ორთაჭალის ციხის უფროსის ოთახში.

მერაბ კოსტავა სულ სხვა კაცი იყო, „სავსე ქართული პატიოსნებით“.

მერაბ კოსტავა იყო მტერი მტრისა და იყო მტერი მონისა და თვალთმაქცისა...

მერაბ კოსტავას უყვარდა საქართველო უერთგულესი სიყვარულით...

არ არსებობს ფენა საზოგადოებისა, დაუნომრავი ადამიანების გარეშე, ვინ პირველია, ვინ მეორე, ვინ მესამე და არის ცრემლისა და სისხლის ღვრა ნომრებისათვის...

მერაბ კოსტავა იყო კაცი დაუნომრავი, დაუნომრავი იქაც, იმ ჯოჯოხეთშიც და აქაც, საქართველოს მომავალი სამოთხისათვის ეროვნული ბრძოლის გზაზე...

ძმავ მერაბ, მართალი და სუფთა კაცი იყავი და მეც ვცდილობდი მართლად და სუფთად მეღიარებინა შენი რაინდული სიცოცხლე!

ჯანსუღ ჩარკვიანი

„სიკვდილო, კარბის მოკვლისთვის ნათავ ვინ გეტყვის ქებასა“

„შაჰროხიანი შეისვენებს

მეზავრობის შუა წამოიძინებს, ამის დრო თუა,


გზას გაუდგება ლეგა ცხენზე ამხედრებული,

არ შეაშინებს დაბრკოლება გზად სვედრებული“ ...

... არ გაშინებდათ არავითარი დაბრკოლება შავროხიან მხედარს, არც ნაძინების, არც ნუთიერი გარინდების საშუალება გქონიათ აროდეს.

... არ გიფიქრიათ კარიერაზე, არ გიტაცებდათ ამა სოფლის პატივსა და დიდებაზე ფიქრი, მაშინაც კი, როდესაც თქვენი თანატოლები სხვადასხვა მაქინაციებით თანამდებობრივ კიბეებზე ადიოდნენ.

„დათმობისა“ და „უძრაობის“ პერიოდში ერთ-ერთმა პირველმა ამოიღეთ ხმა და ხმამალა თქვით:



ვიღუპებით! სამწუხაროდ, უმრავლესობისთვის თქვენი და თქვენი მეგობრების ნათქვამი დარჩა „ხმა მლაღადებლისად“, რადგან „სიმართლე სისულელედ ითვლება ახლაც“.

... არ დაგაფასეს... ვერ მოგიარეს, უფრო სწორედ არ ინდომეს... ერთეულთა რიგში აღმოჩნდით, უმრავლესობა კი ... იმპერიის ლაქის მუნდირით ფონს გადიოდა... გადიოდა... გადიოდა და თან მიჰქონდა, ნადგურდებოდა ენა, მამული, სარწმუნოება... ცდილობდნენ თქვენი და თქვენი დასის სახელის შებლაღვას. უმეცრებმა „დისიდენტი“ გინოდეს... მათთვის ხომ ეს სიტყვა დამამცირებელი იყო... სინამდვილეში კი... ინერციული აზროვნებისათვის შეუთავსებელი აღმოჩნდა ახალი და ნორმალური მსჯელობა. ზოგიერთებისათვის „ნაციონალისტიც“ იყავით, ზოგისთვის პატრიოტი და მეამბოხე. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უდრიდა თქვენს მიერ ჯიუტად და ხმამალა ნათქვამი, ათასგვარ დაკითხვებზე ათასჯერ განმეორებული „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“, ...რწმენით ცხოვრობდით. გჯეროდათ საქართველოს მომავლისა და, ხშირად იმეორებდით: „და კვლავ ვნახავ მკვდრეთით აღმდგარ გამარჯვებულ საქართველოს“.

გამარჯვებული საქართველო თქვენთვის (ზოგიერთებისაგან განსხვავებით) დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო იყო. ასე ამბობდით უკანასკნელ ინტერვიუში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ გამოქვეყნდა.

... ალბათ, არის ბუნებაში რაღაც კანონზომიერებანი, დამთხვევები, რომელიც ალბათ, არც თუ ისე შემთხვევითია. 26 მაისი თქვენთვის საკრალური რიცხვი იყო, 1989 წლის განსაკუთრებით, საქართველო ორ ზეიმს ერთად დღესასწაულობდა:

26 — მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

26 — მაისი ნახევარსაუკუნოვანი მერაბ კოსტავას დღე.

დღესასწაულები კი ნაკლებად გქონია ცხოვრებაში... გამწარებული მამა... ტანჯული მეუღლე და მოქალაქე... თითქოს თქვენი ცხოვრება დაინახა თქვენმა შვილმა — ირაკლიმ, როდესაც თქვა:

„მე ცოცხლად მოკვდი,
არ დაშვირდა ტყუია, არც დანა,
ჩემი ბრმა ნებით გაგაძევე ბედნიერება“.

... გიხაროდათ ეროვნული სულის აღზევება, მაშინვე იქ გაჩნდებოდით, სადაც ერს სჭირდებოდით... ქვემო ქართლში თუ აფხაზეთში, სამაჩაბლოსა თუ ზუგდიდში, შემოვლილი გქონდათ მთელი საქართველო და თუ ბიუროკრატ ჩინოვნიკთა გულები თქვენთვის დახშული იყო და მხოლოდ ზრდილობით თუ შიშით გილიმოდნენ, სამაგიეროდ, ათეულობით ათასები კეთილი გულით და ნათელი თვალებით გხვდებოდა.

ბოლო დროს 9 და 15 რიცხვს ვერ იტანდი, გასაგებიცაა. 13 რიცხვიც საბედისწერო ყოფილა... სოფელ ბორითთან მოხდა ავტოკატასტროფა... ტრაგედია... ვერასგზით შეიკრა საქართველოს იარაღ პირი...

... ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანებას სიხარულით შეეგებეთ, მაშინ თქვით: „ღვთის ნებას ვხედავ იმაშიც, რომ ივერთა მთის სასწაულმოქმედი ხატი ჩამოასვენეს სწორედ მაშინ, როცა ეს ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება“.

საქართველოს იმჟამად სწორედ მერაბ კოსტავა სჭირდებოდა, აზრისა და სიმართლისათვის მებრძოლი მხედარი. გვიჭირს ღვთის ნება დავინახოთ ამაში.

„სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის, ნეტავ ვინ გატყვის ქებასა?!“

ზურაბ გალდავა
მარტვილი


მმაო მერაბ!

26 მაისს ამ ქვეყნად,
აღბათ, სხვაც გაჩნდა ბევრი,
შენ სხვა დალოცვა გეკუთვნის,
მაგისიც მოვა ჯერო,
როცა სამშობლოს ჩვენსას,
სხვა ეხურება ჭერი,
თეთრი გიორგის მლოცველო,
ხარ მუომარი ბერი,
დადინარ, დაგაქვს სინდისი,
შენი თმა-წვერის ფერი.

გზა მშვიდობისა, მმაო...

რა უცაბედად ჩაქრი
ანორგებული ფეთქვა,
ვერ მოვასწართ, კაცო,
შენთვის მადლობა გვეთქვა,
აღარ ციმციმებს შუქი,
შენი ღიმილის, თბილის,
ხარ დაცვი მამულს,
ხარ დაცვი თბილისს...
მოგისაკლისებს მუდამ
ერი, მოსული გონზე,
როგორ ქათქათებ, მერაბ,
შენი შავი დღის ფონზე!..
შენ არ შეგფერის, ვიცი,
სენტიმენტები ჭარბი,
შეგეჭმუნება რისხვით,
ჩამოფხატული წარბი.
ასე ენება, აღბათ
გამკებულს ცის და მიწის,
ქამი მოსვლის და წასვლის
მან უკეთესად იცის!
წინაწარ ხარ უკვე,
სულეთის ლაშქარს შვენი,
მოენატრება მიტინგს
ღელვა-ქადაგი შენი.
უბე გაიხსენ, წამით,
შვილი ჩაიკარ, ცაო,
გზა მშვიდობისა, მერაბ...
გზა მშვიდობისა, მმაო...

რუსლან მიქაბერიძე



როგორი ძველის ელნაჩის ნაქონ სქალუი გარნიხადა იარაღის კოლექციონერმა თეიმურაზ ჯალაღონიამ 20 000 ლული



ის თბილისის უძველეს და ულამაზეს უბანში - აბანოთუბანში ცხოვრობს, იქ, სადაც ყველაფერი ძველი, ლამაზი, ჭრელი, მრავალფეროვანი და განუმეორებელია. განუმეორებელია ამ უბნელი ჩოხოსანისა და ოსტატის თეიმურაზ ჯალაღონიას იარაღის კოლექცია, რომელშიც გაერთიანებულია როგორც ძველი, ასევე თავად ბატონი თეიმურაზის ნახელავი ხმლები, დამბაჩები და თოფები. უხუცესი ოსტატი და საინტერესო კოლექციონერი დღეს ჩვენი რესპონდენტია.

თეიმურაზ ჯალაღონია: იარაღი ბავშვობიდან მიყვარდა. პატრიოტული სულისკვეთებით გავიზარდე. არასდროს არ მბეზრდებოდა მეფე ერეკლეს, გიორგი სააკაძისა და დავით აღმაშენებლის ისტორიებისა და საგმირო თავგადასვლების კითხვა. მეომრული ჟინი ყოველთვის მქონდა. ჩვენ

ჯალაღონები ვართ გვარად. მამაჩემი მიყვებოდა ხოლმე ბავშვობაში, რომ ჩვენი გვარი ორი სიტყვის კავშირის შედეგად წარმოიშვა, რომლებითაც ჩვენი შორეული წინაპრები ხასიათდებოდნენო. ეს იყო ძალა და ღონე. ადრე ძალაღონები ვყოფილვართ, დროთა განმავლობაში „ძ“ შეიცვალა და გახდა „ჯ“. ეს ამბავი რაც შევითყვე, მას შემდეგ შევამჩნიე, რომ ბევრ თანატოლზე ძლიერი ვიყავი და სხვებზე დიდ და მძიმე ქვებსაც ვენეოდი. ომობანას ვთამაშობდით ხოლმე ნარიყალას მთებზე ბავშვები და უკვე იმ დროიდან მიყვარდა იარაღი.

- იარაღის შეგროვება როდის დაიწყო?

- 10-12 წლიდან აქტიურად დავიწყე საომარი ჟანრის ფილმების ყურება და ნელ-ნელა იარაღის შეგროვებასაც მივყავი ხელი, მაგრამ ჩვენ მაშინ დიდი ფული არ გვქონდა მათ შესაძენად. მამაჩემი ფუნქციონერის დირექტორი იყო. ძალიან

პატიოსანი კაცი გახლდათ. ის სახლიდან გასვლამდე დედაჩემს ფულს უტოვებდა, ოჯახისთვის. კარგად მახსოვს, დედა ამ თანხას მაგიდის გადასაფარებლის ქვეშ ინახავდა. მე ჩუმად ხან ორ, ხან სამ მანეთს ვაკლებდი ხოლმე იმ ფულს და ცალკე ვაგროვებდი, რომ შემდეგ ამ თანხით იარაღი შემეძინა (იცინის).

– თქვენ თვითონ როდის დაიწყეთ ასეთი საუცხოო ხმლებისა და დამზარების დამზადება?

– დაახლოებით იმ პერიოდიდან, როდესაც პირველი ნიმუში გაჩნდა ჩემს კოლექციაში. ბავშვობიდან მიყვარდა ჩხირკედელაობა. ხელობა ნელ-ნელა შევისწავლე. ასე მომიწია, რადგან იმდენი თანხა არ მქონდა, რომ დაუზიანებელი იარაღი მეყიდა. ზოგს ჩახმახი ჰქონდა გაფუჭებული, ან რალაც დეტალი მოტეხილი და იმათ შეკეთებაში თანდათან ხელი გავინაფე. შემდეგ უკვე მეც შევძელი დამოუკიდებლად დამზადება. ეს საახლობლო წრეში შეამჩნიეს და ნელ-ნელა გამივარდა ოსტატის სახელი. ახლა უკვე ყველა მიცნობს როგორც იარაღის ოსტატს და სარესტავრაციოდ მომმართავენ თურქეთიდან, დაღესტნიდან, რუსეთიდან, ამერიკიდან...

– პროფესიით ვინ ბრძანდებით?

– (იცინის) დიდი ხნის წინ კონსერვატორიაში ვსწავლობდი. ლამარა გოგრიჩიძემ მიმიყვანა ბათუ კრავეიშვილთან. მას მანამდე შორიდან ვიცნობდი, როგორც ოპერის ხშირი სტუმარი. ის იყო არისტოკრატი, წარმოსადეგი მამაკაცი. მომისმინა ბატონმა ბათუმ და თქვა: ძალიან მაგარი „მეტალია“, კარგი მასალაა და ამისგან კარგი მომღერალი დადგებაო. მაგრამ, კრავეიშვილის იმედები ვერ გავამართლე.

– დღეისათვის რამდენი ნიმუშია თავმოყრილი ამ კოლექციაში?

– ჩემი ნახელავის რაოდენობა ალბათ რამდენიმე ათასი იქნება, მაგრამ მათი უმრავლესობა გაფანტულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მათგან მხოლოდ 40 იარაღი მაქვს შენახული, ისინი, რომლებიც განსაკუთრებით მომწონს. სამწუხაროდ, ამ ხელობით ვარსებობ დღესდღეობით. დღეისათვის ამ კოლექციაში თავმოყრილია ოცდაათამდე ძველი იარაღი, რომელთაგან ზოგი დაღესტნელი ხელოსნების მიერ არის დამზადებული. იქ სოფელია, კუბაჩი, სადაც იარაღის ოსტატები სახლობენ. ძალიან სახელოვანი სოფელია ამ მხრივ, მას იცნობენ ამერიკაში, ინგლისში... მაქვს აგრეთვე ჩეჩნების, ამუზგინების (ამუზგინები, როგორც ერი, თითქმის დაიკარგა), ყაბარდოელების, ჩერქეზების,

ქართველების, სომხების იარაღი.

ქართველი ოსტატებიდან განთქმულნი იყვნენ: თბილისში – ძმები ჯიქიები, ლეკებიდან ყველა იცნობდა ნაბიასა და მაქსუდას. ისინი უფრო ნახევრად ძვირფას ლითონებზე მუშაობდნენ. ყველაზე განთქმულ ოსტატად ყველა ფილო ძაძამიძეს აღიარებდა.

– ალბათ, ბევრი ცნობილი პიროვნების იარაღია ამ კოლექციაში...

– თუხანჯლის პირს დამლაარაქვს, შეიძლება, ვერ ამოიცნო, ვისი ნახელავია, იმას კი უთუოდ იტყვი, რომელი ერის წარმომადგენლის დამზადებულია.

– მართლა გაქვთ ნიკოლოზ მეორისა და ალექსანდრე მესამის ნაქონი ხმლები?

– მე ისინი შევიძინე და მისი წინა მფლობელისგან გადმოცემით ვიცი, რომ ოდესღაც ამ ხმლებით ალექსანდრე მესამე და ნიკოლოზ მეორე სარგებლობდნენ. თუმცა, ამას ვერ დავამტკიცებ – ნიკოლოზ მეორესაც და სხვა მონარქებსაც ერთი ხმალი ხომ არ ჰქონდათ! ამ ხმალს არ აწერია „ნიკოლოზ მეორე“, თუმცა, გვერდით გერბია გამოსახული, მაგრამ, ოფიცრებისა და ჯარისკაცების ხმლებსაც ამშვენებდა იგივე წარწერა. თუმცა, ერთი შეხედვითაც დაასკენი, რომ ოფიცერი და ჯარისკაცი ასეთ ძვირფას იარაღს ვერ ატარებდნენ. ამის საშუალებაც რომ ჰქონოდათ, უფლებას მაინც არ მისცემდნენ. აქედან გამომდინარე მჯერა, რომ ეს იარაღი მართლაც ნიკოლოზ მეორის ნაქონია, თუმცა, ვისი ნახელავია, არ არის ცნობილი.

იმ პერიოდიდან მოყოლებული, ახლაც არის მოსკოვთან ახლოს ზლატოუსტის ქარხანა, რომელიც უშვებს იარაღს, თუმცა ამჟამად უფრო სასუვენრო იარაღის გამოშვებით არის დაკავებული. ახლა საბრძოლო იარაღს ტულის სამხედრო ქარხანა უშვებს.

– ალბათ, ძალიან ძვირია ეს ხმალი...

– ნიკოლოზ მეორის ხმალი 20 ათასი დოლარი ღირს, ეს ალესკენდერის ხმალი კი – 15 ათასი.

– როგორ უნდა გავარჩიოთ რომელი ქვეყნის ოსტატის ნახელავია ესა თუ ის ხმალი?

– ხანჯლის სადაურობის გარჩევა მისი ღარებითაც შესაძლებელია. თუ ღარი ძალიან ღრმაა და ირიბი, ის ლეკების დამზადებულია. ქართულ ხმალს არ აქვს ღრმა ღარი. მუსლიმანურ ხმალს ნახევარმთვარის ფორმა აქვს. ცნობილია დაღესტნური დამლა, რომელსაც ჰქვია – „ალსაჰკალ“, რაც „თეთრწვეროსანს“ ნიშნავს.

– რა მასალებით მუშაობთ ძირითადად?

– ძირითადად ვმუშაობ ოქროს ზარნიშზე. ეს არის ხელობა, როდესაც რკინაში კვეთავ ოქროს ან ვერცხლის მავთულს. ოქროს სინჯი უნდა იყოს 999,9-პროცენტიანი. ვერცხლისაც, ასევე, საუკეთესო სინჯის. აგრეთვე, ვმუშაობ მინანქარზე, სპილოსა და მამონტის ძვლებზე.

ჩემი ორი ნახელავი – ოქროში დამზადებული დამბაჩები – არაბეთის ემირატებში წაიღეს შეიხებთან და თითოეულში 3 500 დოლარი გადამიხადეს.

– მამაკაცების ერთ-ერთი საყვარელი თემა იარაღია. ძირითადად რა კითხვებს გისვამენ ხოლმე?

– ამას წინათ ერთ ადგილას მითხრეს, ერეკლე მეორეს 18-კილოგრამიანი ხმალი ჰქონდაო. 18-კილოგრამიან ხმალს ხელში დაჭერა არ უნდა?! მით უმეტეს, ბრძოლის დროს მას ვერ მოიხმარ. ხმალი ისტორიულად ყოველთვის 650 გრამს იწონიდა. ხევსურებს ჰქონდათ ყველაზე მჩატე ხმელები – ამიწონია და 350 გრამი გამოსულა. მათი ფარიც პატარა და მსუბუქია. ხევსურების ხმალი რომაელთა ხმელებს მახსენებს შორეული წარსულიდან.

– ეს რა უცნაური ხანჯალია?

– მის ტარზე გამოხატულ მთავარანგელოზს უჭირავს შუბი, რომლითაც განგმირავს ეშმაკს.

ვფიქრობ, რიტუალური სცენაა, თუმცა ახსნა არ შემიძლია. ერთი წელია, რაც ეს ხმალი ვიყიდე – 1 600 დოლარი გადავიხადე. თუმცა, მისი ღირებულება გაცილებით მეტია, ვინაიდან – ეს ხმალი იშვიათი ეგზემპლარია. მე რუსეთში კოლექციონერებს გავუგზავნე მისი ფოტო და ყველამ მომწერა, მსგავსი ჯერ არაფერი გვინახავსო. ის თითბრისგანაა დამზადებული და ფოლადის პირი აქვს.

– რას ნიშნავს თქვენთვის ეს კოლექცია?

– ყოველი ნივთი შვილივით არის ჩემთვის. თითოეული მათგანი ძალიან მიყვარს. მე რომ ვქმნი მათ, ან რესტავრირებას ვუკეთებ, შემდეგ ვკოცნი ხოლმე.

იმაზე მწყდება გული, რომ ადრე მხოლოდ მამიდან შვილს გადაეცემოდა, თუ ის შვილი და შვილიშვილი არ მიჰყვებოდა მამის გზას, ხელობა იკარგებოდა. ამიტომ მე ახლა მოსწავლეები ავიყვანე და მათ ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას, არ მინდა, რომ ჩემი პროფესიული საიდუმლოებები მინაში წავიღო. ჩემს საქმიანობას ჩემი მოსწავლეები გააგრძელებენ და ეს კოლექცია მათი ნახელავებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება.

– რამდენი მოსწავლე გყავთ?

– რვა მოსწავლე მყავს, რომლებიც შემიძლია, ვთქვა, რომ უკვე ხელოსნები არიან.

იკა სალაღია

მამა ბაბრიელის გამონათქვამები

ღმერთი არ იძლევა დიდ ნიჭს დიდი განსაცდელის გარეშე. ღმერთი ყველას იმ ზომით მოგვივლენს განსაცდელს, რისი ატანაც შეგვიძლია. შესაბამისად გვეძლევა ღვთის მადლიც.

ნათლული რომ წარწყმდეს და ჯოჯოხეთში მოხვდეს, ნათლიასაც მოეკითხება, თუ როგორ და რამდენად იზრუნა მან თავისი ნათლულის სულის გადარჩენისთვის.

ზიარებისთვის პირველად მისული კაცი, მღვდელმა, მიუხედავად მისი ცოდვების სიმძიმისა, აუცილებლად უნდა აზიაროს.

ნუ მოგერიდებთ, რომ ყოველთვის და ყველაფერს ჯვარი გარდასახოთ. ჯვარშია მთელი ძალა.

საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ქართველ ერს მიცემული აქვს სიყვარულის ნიჭი და თუ არ გამოიყენა ეს ძალა, როგორც იონა წინასწარმეტყველი გადაყლაპა ვეშაპმა, ისე მოუვა მასაც. თქვენი ნიჭი რწმენაა, ამრავლეთ იგი და სხვებსაც ეს უთხარით.



საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში ჟურნალისტები დააჯილდოვანს

ღონისძიება ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისში გაიმართა.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და სანგჰლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის პაატა ნაცვლიშვილს, ნუგზარ რუსაქას, შახვალად აივაზოვს, ბინათ მამადოვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიანიჭათ.



კიდევ ერთი წარმატება ნინო რეხვიაშვილის შემოქმედებაში.

ახლად გამოცემული წიგნის „რაჭის ქრონიკის“ წარმატებისა და ქართული ჟურნალისტიკის ნაირფეროვნებაში შეტანილი წვლილის, რაჭისა და სამეგრელოს ძირძველი კულტურის წარმოჩენისათვის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ დაწესებული პირველი პრემია დამსახურებულ ჟურნალისტს ნინო რეხვიაშვილს მიენიჭა.



საქართველოს სხვა-სხვა ორგანიზაციის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ლენჯინს უსმეიძისა და აკაკიშვილის შილა ქვციანიძის 27 აპრილის იაჭის საჯარო დაწესებულებისა და იაჭის განვითარების ფონდის შექმნის ინიციატივის გამოხატულება.





გივი სისხატულიძე

რამდენი ფერი ჰქონია სიყვარულს

რამდენი ფერი ჰქონია სიყვარულს
რამდენი გასაფხული, რამდენი ზაფხული,
რა მკაცრი ზამთარი გადაუტანია
მაგრამ არ დამჭკნარა გაშლილი ვეხვილი.

ციურ ფერებში დახატულ სიყვარულს
არ ეშინია მძვინვარე ქარბუქის,
ატენილ ჭალებს და წითელ ვაყახოს
მითხარით სიყვარულს ვინ, ან რით დაუშლის.

რადგან სიყვარული თვით არის ქარბუქი,
სიგიჟე, სიშმაგე, გრძნობების თარეში,
ამ შეშლილობამ წმინდა სავანისა
რამდენჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში.

ეთერ კაკულიას

ჩემს სულში იჯდა
როგორც ვაყახო ჰურის ეანაში,
მე ის დამაკლდა როგორც დუშაში
მოთამაშეს ნარდის თამაშში,
ვით სირინოზი, უმღერდა ქალაქს,
უყვარდა: მხატვარს, ჰოეტს და დალაქს,
ის არ მომკვდარა,
მხოლოდ მისი სმა დააკლდა ქალაქს.
დაჭკნა ვაყახო, მოკვდა ვარდი,
მორჩა თამაში,
შემომეცალნენ მეგობრები თამაშ-თამაშში,
იაქესავით ჩავიკეტე საკუთარ თავში.
მიუცურავ ნავით მდუმარე ტბაში,
არსაით ისმის ბრაუო და ტაში,
სიხუმე სუფევს ცარიელ ნავში,
მარტო ვარ, როგორც ობოლი ბავშვი.
როგორც სანთელი ის, ისე ჩაქრა,
როგორც მოვიდა, ისევე გაქრა.



საფლავებს შორის იყო დუმილი,
ქითსის სონეტებს
მაგონებდა ირყმარება,

სასაფლაოდან სასაფლაომდე

საფლავებს შორის იყო დუმილი,
ქითსის სონეტებს მაგონებდა იდუმალება,
აღბათ შევიცნობ, როცა იქნება
სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო სად იმალება.

ერთი საფლავი იყო მოკლილი,
სისუფთავისგან ის ლაპლაპებდა,
აღბათ ჰატრონი ჰყავდა
ძლიერი ამა ქვეყნისა.

გვერდით საფლავი, გადანგრეულ მოაჯირიდან,
გამელელს შევლას ეკედრებოდა,
კარგად იცოდა, უნატრონოდ მიტოვებულს,
თუ რა ელოდა,
მას სასაფლაოს გაიმეორა მუნატრონე ესიზღებოდა,
რომლის ბრძანებით მესაფლავე
მისკენ ნაზავს ეზიდებოდა,
მას სომ დამშლელი არაფინ ჰყავდა
და ამიტომაც ეზიდებოდა, ეზიდებოდა და ეზიდებოდა.

როცა საფლავი ნავით გაივსო,
მესაფლავემ ჩუმად, თავისთვის ჩაიქირქილა,
აქ მოაჯირი ვის სჭირდება, რისთვის არისო?
უროს ერთი ძლიერ მოქნევით
მოაჯირი გადაანგრია და საფლავი სევდით აივსო.

ცოტაც აცადეს და როცა მსსნელი
არსით გამოჩნდა.
მესაფლავეს ერთი ფრანა ისევ წამოცდა
- ახლა დრო არის,
უნატრონო მიცვალებული
ჩემს სოფელში სუფთა ჰაერზე გადავასვენო
და მის მაგივრად,
მდიდარი ვინმე რომ ჩავასვენო.
ასეც მოიქცნენ, ცხედარის ძვლები
რადცა უუთში გადაასვენეს,
მერე მანქანით, თბილისიდან
სადღაც წაიღეს,
მიწა გათხარეს და
ჩაასვენეს.

ესეც ასეო, თქვა მესაფლავემ,
გაბურძმვულ წვერზე
მოისვა ხელი.
ასეა, მძაო,
ასეც იქნება,
მაცდური არის
კაცთა მოდგმის
წუთისოფელი!

კვიციანი სინარულიძე



კულტურის განვითარება ჩხოროწყუში

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო რაიონში კულტურის განვითარების სწარფი აღმავლობა. მისმა ინტელიგენციამ ღირსეული წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში. ქართველ მწერალთა რიგებს რაიონიდან შეემატნენ სახლეოვანი მწერლები და პოეტები: სამსონ დადიანი, ალექო შენგელია, მოსე ქარჩავა, პლატონ ბებია, ანდრო სიჭინავა, ნოდარ ჯალალონია. მათ ტრადიციებს ღირსეულად არგძელებენ შემდგომი თაობის წარმომადგენლები: შუკო ჯიქია, გურამ ახალაია, ლეილა, ელისო ლემონჯავები, ბადრი კვიციანი, ინდიკო ჯიქია, ჯამბულ ბებია, მირიან, სოსო ჯალალონიები და სხვები.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ოჩხომურში დაიბადა და ფეხი აიდგა მსოფლიოში ცნობილმა მსახიობმა აკაკი ხორავამ, რაიონის მკვიდრია მსახიობი თემურ ესართია, ლესიჭინეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია მსახიობი გურამ ფირცხალავა.

სასცენო ხელოვნების განვითარებისთვის ზრუნვის გამოხატულება იყო, ჯერ კიდევ 1935 წელს საქართველო კპ [ბ] ჩხოროწყუს რაიონის ბიუროს დადგენილება „ჩხოროწყუს რაიონულ კლუბში სასცენო მუშაობის შესახებ“, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა დრამატული დასის ჩამოყალიბება და მასში შეყვანილ იქნენ: ფილიპე მამფორია, აკაკი ლურცკაია, პეტრე გულუა, დათიკო ფაცაცია, კაკო პერტაია, გუია




მამანტი კვიციანი

და შოთა შენგელიები. დასის ხელმძღვანელად დამტკიცდა ფილიპე მამფორია. [შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი]. დასმა მრავალი დადგმა განახორციელა. 1932 წელს ქ. ზუგდიდში ჩატარებული ხალხური თვითშემოქმედების დათვალეობაზე დიდი მონაწილეობა დაიშასხურა დრამის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლმა „კაკო ყაჩაღი“, რომელიც დათიკო ფაცაცია დადგა ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით. კაკოს როლს ასრულებდა ფილიპე მამფორია, ხოლო ზაქროს როლი განასახიერა დათიკო ფაცაცია. მაყურებელთა გაოცება გამოიწვია კირილე ქუცურუას განვრთნილმა ცხენმა, რომელმაც ცხენარზე დაიჭიხვინა. ჟიურიმ დრამატული კოლექტივი პირველი ხარისხის დიპლომითა და მედლით დააჯილდოვა. კულტურის სახლის სცენაზე 30-იან წლებში დაიდგა „არსენა“, „ქრისტიანი“, „რაც გინახავას, ველერ ნახავ“ და რიგი სხვა სპექტაკლები. ომის შემდგომ წლებში დრამატულმა კოლექტივმა

მოყვარული და თეატრალური კოლექტივების მრავალ რესპუბლიკურ დათვალეობაში და ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, ლაურეატის წოდება და ჯილდოები დაიმსახურა. 1987 წელს ჩხოროწყუს სარაიონი კულტურის სახლის თეატრალურ კოლექტივს სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა, რაშიც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის კულტურის სახლის ყოფილ დირექტორებს შოთა ბახტაძეს, გურამ

მალანიას და მხატვარ რეზო ნურნუმისას. სახალხო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ს.შანშიიშვილის დრამა „ირმის ხევი“, შ.დადიანის „გეგჭკორი“, ა.ნერეთლის „პატარა კახი“, ი.ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, ვ.გუნიას „და ძმა“. ნ.დუმბაძის „თეთრი ბაირალები“. სახალხო თეატრის მიერ განხორციელებულია 27 დადგმა. 1999 წლის მაისში სახალხო თეატრის მიერ დადგმულმა ნ.წულეისკერის პიესამ „სისატურა“, თეატრალური კოლექტივების რეგიონალურ და-თვალეირებაში გაიმარჯვა. დასახელებულ სპექტაკლში მონაწილეობდნენ მოყვარული მსახიობები: ელისო ქებურია,დალი გოშუა, ბელა ბიჭიაშვილი, თეა თოდუა, რობერტ გეთია, კობა ფარცვანია, ირაკლი, გიორგი კაჭარავები, დათო დარსალია, ვალერი სიჭინავამიურა ბერია. სახალხო თეატრის სხვადასხვა სპექტაკლებში საინტერესო სცენური სახეები შექმნეს: აკაკი ლურცკაიამ, სერგო პერტაიამ, ვალერიანე გობეჩიამ,პეტრე გულუამ, შალვა ფირცხელავამ შოთა ბახტაძემ, კოტე ნაჭყეტიამ, ელისო სიჭინავამ, მიმოზა ნურნუმამ, თათუმა გახარიამ, ელისო ლემონჯავამ, ვალერ სიჭინავამ, დემურ ვეკუამ და სხვებმა.

რაიონს ხალხური მუსიკალური ხელოვნების განვითარების მდიდარი წარსული აქვს. გუნდის ჩამოყალიბებასმკვიდრისაფუძველიჩაუყარადიდმა



ენტუზიასტმა, ხაბუმელმა მჭედელმა თადა გოგუამ, რომელმაც მომღერალთა პირველი ეთნოგრაფიულ გუნდი ხაბუმეში შექმნა. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები: დათიკო ფაცაცია, ძუკუ აფშილავა, სამსონ და კალისტრატე შენგელიები, ერა პაპავა, ლუბა ნურნუმია, ჩიტო ჩხარჩხალია და სხვები. 1932 წლის ზუგდიდის ოლიმპიადაზე გუნდის მიერ შესრულებულმა ძველმა მეგრულმა სიმღერებმა გუნდს და მის ლოტბარს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი მოუპოვა. თადა გოგუას დაწყებული საქმე ჩხორონწყუს სარაიონო კულტურის სახლში წარმატებით განაგრძო დათიკო ფაცაციამ, რომელმაც შეძლო სრულყოფილი მომღერალი გუნდის ჩამოყალიბება, მასში გაერთიანებული იყვნენ უხუცესი მომღერლები: ბეგი გაბისონია, სვიმო ახალაია, ბარდლა არახამია, კოსტა ჩიტაია, ნიკოლოზ ჟვანია, აქესენტი ბებია. მეჩონგურე

ქალები: ზინობია ახალაია, აღათი ესართია, ლუბა ნურნუმია, ჩიტო ჩხარჩხალია და ხვა. დათიკო ფაცაციამ მრავალი ხალხური სიმღერა აღდგინა და დაამუშავა.გუნდმა 1937 წლის ნოემბერში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ ოლიმპიადაში და საკმაოდ მაღალი შეფასება ხცდა წილად. ოპერის თეატრის სცენაზე თოხებით შესრულებულმა „ოღოიამ“ მსმენელთა აღტაცება გამოიწვია.გუნდის გამოსვლა კინოფირზეც აღიბეჭდა და დიდხანს უჩვენებდნენ ეკრანზე.



ანსამბლი „ჩხორონყუ“

ოქროს ფონდი

1936 წელს ჩხორონწყუმი შეიქმნა სანიმუშო კლუბი, რომლის გამგედ მუშაობდა ნიკოლოზ ჯომიდავა. კლუბმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კულტურის სახლის შემდგომ საქმიანობას.

ჩხორონწყუს კულტურის სახლის მომღერალთა გუნდი თანდათანობით ფრთებს ისხამდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლად. 50-60-იან წლებში ანსამბლში 150-ზე მეტი მომღერალი და მოცეკვავე იყო გაერთიანებული. ანსამბლს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ნიკოლოზ კაკაჩია, ორდე ლეთანძე, ვატხანგ მიმინოშვილი.

ქორეოგრაფები იყვნენ ბუხუტი დარახველიძე, ავთანდილ თათარაძე, გივი ოდიკაძე, ელგუჯა გუმბერიძე, მურთოზ ჩახავა. ანსამბლი ორი საკავშირო და ოთხი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი. მას გასტროლები ჰქონდა უნგრეთში, ბალტიის პირეთის რესპუბლიკებში, უკრაინაში, მოსკოვში და სხვაგან. ანსამბლის სოლისტები იყვნენ ცნობილი მომღერლები: არკადი გახარია, გახა გაბისონია, ამალია და ალექსანდრე მიქაილები, ნუნუ და სულიკო ქებურიები, ვალიკო უბირია, პავლე ბოკუჩავა, ვანო კვირკველია, კოლია ქარჩავა, ნორა ჩალიგავა, კოლია ჯალალონია, ლამარა შენგელია, მარო ნურნუშია, და სხვები. ანსამბლში ცეკვავენ: ვაკონა ყალიჩავა, ოფელია ახალაია, აირა ქებურია, შალვა ფირცხელავა, ვახტანგ ბიგვავა, როლანდ უბირია, მაგულ ქუცურუა, თენგიზ კვარაცხელია, რამაზ ფირცხელავა, ვალერი, ზაირა, მიმოზა სიჭინავები, ჯემალ ყვანია და სხვები.

1988 წელს ანსამბლს სახალხო ანსამბლ „ჩხორონწყუს“ სახელწოდება მიენიჭა. მას

ხელმძღვანელობდა ღირსების ორდენის კავალერი ვახტანგ მიმინოშვილი. ქორეოგრაფები არიან ანატოლ ოკუჯავა და ანზორ თორდია. ანსამბლში მღერიან საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატები: ტარიელ ჯალალონია, იური შენგელია, ყორა და შაქრო საჯაიები, იმერ ჭაავა, ჭიჭკო ბერია, ძმები ირაკლი და გიორგი კაჭარავები. ანსამბლის მოცეკვავეებია: გოგი



აკაკი ხორავა



აკაკი კვანტალიანი

სიჭინავა, დათო ქვარცხავა და სხვები. დიდი მოწონებით სარგებლობს კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი, რომელსაც ძმები ირაკლი და გიორგი კაჭარავები ხელმძღვანელობენ. 1991 წელს ფირმა „მელოდია“ მოსკოვში დიდი ტირაჟით გამოუშვა ანსამბლ „ჩხორონწყუს“ მიერ შესრულებული 15 ქართული ხალხური სიმღერა.

ჩხორონწყუს სარაიონო კულტურის სახლში დირექტორებად უმუშავიათ-მამანტი კვირტიას, გრიშა ახალაიას, გუია შენგელიას,

კალისტრატე ჩიქოვანს, შოთა ჯიქიას სერგო პერტაიას, მამანტი ყურაშილს, გურამ მალანიას, რეზო ნურნუშიას, კოტე ნაჭყებიას, ვახტანგ მიმინოშვილს, ვალერ ვეკუას, შოთა ბახტაძეს.

საინტერესოა კულტურულ-საგანმანათლებლო ისტორიული წარსულიც. 1921 წლამდე რაიონის ტერიტორიაზე სასულიერო პირების მიერ ეკლესიასთან გახსნილი სამკითხველოები არსებობდა. 1932 წლისთვის რაიონში იყო ერთი სარაიონო კლუბი, ერთი სანიმუშო ბიბლიოთეკა, ორი ქობ-სამკითხველო და 21 წითელი კუთხე. 1977 წელს კი კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვმა 71-ს მიაღწია. მათგან ბიბლიოთეკა 1975 წელს იყო 39; 1908 წელს-52; 1987 წელს კი-54. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი 1975 წელს იყო-190 667, ხოლო 1987 წელს-290 140 ეგზემპლარი.

საბიბლიოთეკო ქსელში მრავალი დამსახურებული და ღვაწლმოსილი ადამიანი მუშაობდა და მუშაობს, მათ შორის არიან: „საქართველოს სსრ საპატრიო ბიბლიოთეკარის“

წოდების მატარებლები: ბაბილინა ფონია, შურა თოდუა, ბაბუცა ვეკუა, ნუნუ ქებურია, ლუდა ნარსია, ეთერ დარსალია, ჟიჟინო ჭითანავა, ნანული გულუა, ნათელა ბერაძე, ნინა სიჭინავა. წარჩინებული ბიბლიოთეკარები: ნაზიბროლა ნაჭყებია, ქეთინო ნურნუშია, ლამარა შენგელია, მზია კვარაცხელია, მერი ჭყონია, ნანი ქობალია, მალინა როდონია, ზამირა ქარჩავა, ეთერ ქებურია, ლამარა სანაია,

ციალა ვეკუა, მანანა სიჭინავა, ჯულიეტა ახალაია. კულტურის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მინიჭებული აქვს და ღირსების ორდენით დაჯილდოებულია ჩხორონწყუს რაიონული არქივის გამგე შოთა ფირცხელავა. საარქივო საქმის სრულყოფაში სათანადო წვლილი მიუძღვის სისტემაში წლების განმავლობაში მომუშავე არქივარიუს არიადიან მოსიძეს. გარდა სარაიონო კულტურის სახლისა, რაიონში ფუნქციონირებს 6 სასოფლო კულტურის სახლი და 11 სასოფლო კლუბი. კულტურის სახლები და საკლუბო დაწესებულებები გადაქცეულნი არიან მოსახლეობის კულტურული მომსახურები და მხატვრული თვითშემოქმედების განვითარების კერებად. მშრომელთა კინომომსახურების სამსახურში ჩაყენებული იყო სარაიონო კინოთეატრი, 23 ადგილობრივი კინოდანადგარი, 2 კინოავტომობილი. რაიონის კინოფიკაციის განყოფილებას და შემდეგში-კინოქსელს ხელმძღვანელობდნენ ჭიჭიკო შელია, ლევან ესართია, მაკარ გულუა, ლუდა გორდულაძე.



გურამ ფირცხელავა

დღემდე მოწონებით სარგებლობს ჩხორონწყუს სარაიონო კულტურის ასახლისა და კინოთეატრის კინჰმოყვარულთა ჯგუფის მიერ 1967 წელს შექმნილი სამწლიანი კინოსურათი „განახლებული ჩხორონწყუ“.

1958 წელს რაიონში გაიხსნა სამუსიკო სკოლა. მისი დამფუძნებლები იყვნენ: კულტურის განყოფილების გამგე გიორგი პაპასკირი და სკოლის დირექტორი აკაკი კვანტალიანი. სხვადასხვა დროს სამუსიკო სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: ნანა ტურძელაძე, ნაირა ფარლავა, რუსუდან გახარია, ნოდარ ჩინჩლაძე, გულადი პაპავა, ამჟამად დირექტორია ჯულიეტა გახარია. პედაგოგებად მუშაობენ: ლუიზა ივანოვა, ნანა ჯანჯღავა, ნანა ტყეშელაშვილი, მზიური პაპავა, ქეთევან აფხაზავა, შორენა მიქიაი, ირინა თოლორდავა, მაია გულუა. სკოლაში სხვადასხვა დროს პედაგოგებად მუშაობდნენ: ნანი ჯაიანი, ნანა ყურაშვილი, დოდო ჭანტურია, ნანი ბოკუჩავა, ნაზი სიჭინავა, მარინა გარუჩავა, ფერიდე ჭითანავა, ციალა ჩარექაშვილი, მარინა ჩხარჩხალია და სხვები. დღეისათვის სკოლაში 115 მოსწავლე სწავლობს, არსებობს

მანძილზე სკოლა 346-მა მოსწავლემ დაამთავრა.

1978 წელს ჩხორონწყუში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მისი პირველი დირექტორი იყო ამ საქმის დიდი მოამაგე, ღვანლმოსილი მუშაკი გრიგოლ შენგელია. მუზეუმის დაარსებაში, მის წარმატებით საქმიანობასა და ექსპონატების შეგროვებაში დიდი როლი ითქვამს ჩხორონწყულ ინტელიგენტთა როლი მამანტი კვიციასა და ტიტე შელიას მეთურობით. მუზეუმს ფასდაუდებელი დახმარება

აღმოუჩინა მარტვილის მუზეუმმა და პირადად მისმა დირექტორმა გივი ელიავამ. მუზეუმის საქმიანობაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი მის მეცნიერ-მუშაკებს: კონსტანტინე ხუნტუას, ალექსანდრე მორგოშიას, ანზორ სიჭინავას, ჯემალ ლაკირბაიას. 1987 წლიდან მუზეუმს სათავეში უდგას კულტურის გამოცდილი მუშაკი და ხელოვანი გურამ მაღანია. მუზეუმში დაცულია მხარის წარსულის ამსახველი მრავალი ნივთიერი, წერილობითი, ენთოგრაფიული, ზეპირსიტყვიერი მასალა. მის ძირითად და დამხმარე ფონდში აღრიცხულია 20 ათასზე მეტი ექსპონანტი. რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერების, მუზეუმის შტატისა და შტატგარეშე მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობით ჩატარებულია 14 სამეცნიერო სესია და 5 გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც 67 მაღალკვალიფიციური მოხსენებაა წაკითხული. მუზეუმში დაგროვილ მასალებზე დაყრდნობით მრავალი საყურადღებო ნაშრომი დაინერა და გამოქვეყნდა, დაბეჭდილია სამეცნიერო სესიების თეზისები და ცალკეული მოხსენებები.

კულტურის განყოფილების გამგედ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: რაჟდენ ფიჩხაია, არსენ ვეკუა, გიორგი პაპასკირი, ჟორჟი გოგუა, ალექსანდრე ბერაძე, ნელი პაპასკირი, იასონ პაპავა. 1982 წლიდან განყოფილებას სათავეში უდგას ღირსების ორდენის კავალერი, კულტურის სფეროს ღვანლმოსილი მუშაკი შახი სიჭინავა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რაიონის კულტურის ცხოვრების სრულყოფაში. კულტურის განყოფილებაში კულტმასობრივ ღონისძიებებს და საკლუბო მუშაობას კოორდინაციას უწევდა ბესიკ ახალაია, რომელიც ამჟამად რაიონის კინოქსელის დირექტორია. კულტურული ცხოვრება რაიონში თანდათანობით მყარ ნიადაგზე დგება.

ვლადიმერ გოროზია

გმირი

ქართულ-ათხაზ უძი

უძთიუძთუძის

მსსუუძპლი

რრტომ დრხპრრტრს ზორრს შონრრ



რფხრზეთრს ომს ბევრრ გმრრრ ჰყრვდრ. ბორრს შონრრ, რგრვე ფრლრნრ, გრნსრკუთრრბუღრ დდრმრ-რნურრ თვრსებებრს გრმო დრდრ პრტივრსცემრთ სრრგებლობდრ. სოხუმრს დრცემრს შემდევ ქრლრქრ ათრრთრსობრთ ქრრთვეღმრ დრტოვრ. ბორრს შონრრ გრლში დრრჩრ. ქრრთუღრ გენრს შენრრჩუნებრ დრ ნრთესრვებრსთვრს გრსრჭრრს შემსუბუქებრ სურდრ. სეპრრრტრსტებმრ გრლრს რრრონრ არრერთხეღ დრრბრბრეს. ნრრღეს ნრდრვღრ დრ ხრლხრ დრრშრნეს. ბორრს შონრრრმ სეპრრრტრსტებრს ქმედებრ ღრდრ დრგმო.

როგორც გრლელებრ რხსენებენ, სეპრრრტრსტებმრ მრს სწორედ ეს სრქცრეღრ არ არპრტრეს დრ მეორე დღეს 1993 წლრს პრრვეღ ნოემბერს სრკუთარრ სრხლრს ეზოში დრხვრრტეს.

რფხრზებზე დრ ქრრთვეღებზე შერყვრრბულ კრცს სრმართლრსთვრს ესროლეს. რლსრნრშნრვრრ, რომ დრხვრეტრსრს ბორრსრს რუსრ ეროვნებრს ქრლბრტონრ თრმარრ რნოსრნკოვრ გრდრდრეფრრ, რომელიც ასევე არ დრრნდეს დრ დრხვრრტეს.

ფრლრნრ სრკუთარრ სრხლრს ეზოში დრრსრფლრვეს, მრსრ სრქცრეღრ კრ სრმრგრლრთოდ დრრჩებრ რფხრზეთრს ომრს რსტორრრში.

ღვთრს სრსწრული



რრს წრრს

ბერმრნული

პრრსრ ქრრთუღრ

სრსწრუღრს შრსრხებ

სრსწრული, რომელიც უნდრ გრრბოთ, ძნელად დრსრჯერებელი, მრგრრმ ნრმდვიღრ ამბრვრ. ამბრვრ, რომლრს მოქმედი გმრრრც 12 წლრს თეკლრჯოშვიღრ დრ მრსრ ბებრ, მეგრელი ქრლი, ნრტო ხრრებრვრ გრხლრვთ. ქრლბრტონრ ნრტო მრსრ მდგომარეობრს გრმო მრრტო სრქრრთვეღომ კრ არრ, გერმრნრრმრც კრრგად გრრცნო, როგორც შემართებუღრ, მრზრნდრსრხული, ძლერრ დედრ დრ ყველრზე მეტი,

ღმერთრსრგრნ ხელდრსმული რდრმრნრ, რომლრს ხრღვებმრც ქრლიშვიღს შვიღრ შერუნრრჩუნრ.

ყველრფერი კრ ასე დრრნყო: ერთხეღ, როდესაც ფეხმძრმე ქრლიშვიღრ სრძესთრნ ერთად ბრთუმში გრრსტუმრრ, მოულოდნელად თბრლრსში, წერეთლრს გრმზრრზე ეკლესრრს წრნ, სრდრც მრსრ სრხლრ მდებრრეობს, კადრრ დრრნრხრ. რღმორჩნდრ, რომ ეს ბრვშვრს ხერხემრლი რყო, რმ ბრვშვრს, რომელსაც მრსრ

შვილი მუცლით ატარებდა. დაიგემა გამოკვლევები საზღვარგარეთ, დიაგნოზი შემაშფოთებელი აღმოჩნდა, ნაყოფს ხერხემლის სიმსივნე დაუდგინდა, რომელიც სწორ ნაწლავზე გადადიოდა. მისი მკურნალობა ექიმების აზრით უპერსპექტივო იყო და ამავე დროს პროცედურები იმდენად ძვირი ღირდა, მის დაფინანსებას არათუ უცხოელი, თავად ადგილობრივი ადამიანიც კი ვერ შეძლებდა. არც დაზღვევას ექვემდებარებოდა. არა და ქალბატონი ნატო ფარ-ხმალს არ ყრიდა, შვილს შთააგონებდა, რომ ბავშვი აუცილებლად გიორგობას, 23 ნოემბერს დაიბადებოდა და განსაცდელის მიუხედავად ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამ დროს უფალმა ხარებავებსა და ჯაოშვილებს საჩუქარი მიუძღვნა, გერმანიაში ტელერეკლამების წყალობით გამოჩნდა 72 წლის გერმანელი კაცი, ვინც თავისი მთლიანი დანაზოგი,



აბსოლუტურსიკვდილსუნინასწარმეტყველებდნენ, ჯანმრთელი და ბედნიერია. მის მოგონებაში აღრეულია წარსული, აწმყო და მომავალი. იცის ყველაფერი, რაც მისი ძილის დროს მოხდა, ხედავს მომავალს და შეუძლია წინასწარმეტყველება.

მოულოდნელად დედამ და ბებია ბავშვში სასწაული ნიჭი აღმოაჩინეს. გოგონა თიხაზე ფიგურებს ხაზავს და როგორც აღმოჩნდა, ის ფიგურები სუფთა შუმერული ანბანია.

ეს კიდევ ერთი სასწაულია, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, სასწაული იმისა, რომ უფალი თვალწინ გვესახება და გვაჩვენებს, თუ რაოდენ დიდია მისი მადლი.

ეს ამბავი გერმანულმა წამყვანმა ჟურნალ-გაზეთებმა ფართოდ გააშუქეს. სამწუხაროა, რომ ჩვენ ამ ფაქტს 12 წლის შემდეგ ვიგებთ.

ქალბატონი ნატო კი ძლიერი დედა, გონიერი ქალი და ღვთისმშობლის მოციქულია ოჯახის გადასარჩენად მოვლენილი.



ერთი მილიონი ევრო პატარა თეკლას გადაურიცხა.

აფერუმ მის ვაჟკაცობას. წარმოიდგინეთ, რა დიდსულოვანი უნდა ყოფილიყო, რომ უცხოელი ბავშვისათვის ამხელა მადლი გაენია.

ბავშვს 7 თვიანი ძილის პროცესში ყველაფერი გაუკეთეს. საკვებს არ იღებდა, მხოლოდ წყალს აწვდიდნენ, მიუხედავად ამისა თეკლა ვითარდებოდა...

ბებიას ყოველდღე მის გადარჩენა-არ გადარჩენაზე სხვადასხვა საბუთზე ხელს აწერიდნენ, მაგრამ სიკვდილთან მებრძოლი ქალი ვერ გატეხეს. გავიდა დრო, ოჯახი მკურნალობის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა. დედას და ბებიას პატარა თეკლა დედათა მონასტერში დაჰყავდათ, მამა გაბრიელის საფლაფზე აწვენდნენ და ლოცულობდნენ.

უფლის, მამა გაბრიელისა და გერმანელი კაცის შემწეობით დღეს გოგონა, რომელსაც ექიმები



წინამდებარე ამბავი, რომელიც ზღაპრად შეიძლება მოგეჩვენოთ, ჭეშმარიტი რეალობაა, ერთი განსხვავებით, ბოლო ზღაპრის მსგავსად კეთილი აქვს.

დიდება უფალს ამ შემწეობისათვის.

ინო რაჰვიაჰვილი

იმას შვილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს სწავდას,
სირცხვილი იმ გუთნისდას,
თავის მამის საფლავს ხნავდას.

იეთიმ გურჯი

ვისი გონისა ხარ

... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქილამ დაიწყოს ცხოვრების უღელის ნევა. შვილს უნდა გამოერკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უძმოვდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც ბინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უსორთუმო სვილმოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას ბახდება.

ილია ჭავჭავაძე

ცხაკაია

სავარაუდოდ გვარის ფუძეა მეტსახელი ცხაკა, ჩხაკა... რაც თვალღიას, ღიას ნიშნავს. ცხაკუა კი მეგრულად ძალის გარეშე დარტყმას, მოცაცუნებას ნიშნავს.

ცხაკაიები ცხოვრობენ სოჭშიც — რამდენიმე ოჯახი 1980-იან წლებში გადასულა იქ საცხოვრებლად.

საქართველოში 590 ცხაკაია ცხოვრობს. უმეტესობა თბილისში, ზუგდიდში და მარტვილში.

ჩიჩუა

ეს გვარი გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიულ წყაროებში. ლევან II დადიანის ერთ-ერთი სიგელის მონმე ყოფილა რამაზ ჩიჩუა.

ჩიჩუების სათავადო არსებობდა მე—17—19 საუკუნეებში ჭანისწყალისა და ხობისწყლისწყალთან და ენოდებოდა საჩიჩუო, საჩაო. რეზიდენცია ჰქონდათ ზენში. ციხესიმაგრეები ზენსა და ხობში, საგვარეულო საძვალეები ზენსა და ხობის მონასტერში.

ჩიჩუების ერთ-ერთი შტოდან უნდა მომდინარეობდნენ ჩივაძეები.

თბილისი—451, სენაკი—158, ლანჩხუთი—135.

ბჟალავა

ერთ-ერთი ვერსიით, გვარი ეგვიპტური ენის საფუძველზეა ახსნილი. ეგვიპტური საკრალური მითების თანახმად, „ბჟა“ (მზე) შვა საკრალურმა ძროხამ, რომელსაც ჰქვია „მეხეთურთ“ დიდი „ციური ძროხა“.

მზეს და რძეს ერთი სახელი აქვს კოლხურში. მზე და რძე ერთი იდეითაა შეკრული ეგვიპტეში.

ამ ვერსიით, რამზეს მეორის ეგვიპტელებმა მოიტანეს კოლხეთში 33 წლის წინათ.

საქართველოში 1231 ბჟალავა ცხოვრობს.

ზარანდია

გავრცელებული გვარია ზუგდიდში. ზარანდ — ირანულად საკუთარი სახელია.

ეს მეგრული გვარი ნანარმოები ჩანს. ჩანს სკვითური ზარანდ სახელიდან და ნიშნავს „მოხუცს“.

ხარჩილავა

საქართველოში გავრცელებულ გვარებს შორის ხარჩილავას რაოდენობის მიხედვით 360-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში 2225 ხარჩილავა ცხოვრობს. ზუგდიდში—718, ნალენჯიხაში—707, თბილისში—237, არიან სხვაგანაც...

წვერავა

გვარი ნანარმოებია მამაკაცის სახელიდან წვერა.

ქართულში წვერა წვერის მქონე პირსაც აღნიშნავს. სამეგრელოში არის ასევე გვარი წვერია.

წვერავა ივანიკა მოხსენიებულია ხონის ეკლესიის 1824 წლის სიგელ-გურჯებში.

საქართველოში 516 წვერავა ცხოვრობს: თბილისში—131, ქუთაისში—72, სამტრედიაში—30.

გვარი ნანარმოებია მამაკაცის სახელიდან წვერა. მეტსახელი წვერიკმაზა კი, გვხვდება გვარში წვერიკმაზაშვილი.

ჭყონია

ჭყონი მეგრულში მუხას აღნიშნავს. ჭყონიასასახელებენ იმ გვართა შორის, რომლებშიც ჩანს მცენარეთა სახელები: მაგ. ჭყონიძე, მუხაძე, მუხაშვილი.

თბილისში 432 სული ჭყონია ცხოვრობს. ლანჩხუთში—355, ბათუმი—277.

ქრტიულიების გვარის შესახებ

ჭურღულია არცთუ მრავალრიცხოვანი გვარია. 1995 წელს მთელს საქართველოში სულ 821 ჭურღულია აღირიცხა. აქედან ზუგდიდსა და მის სოფლებში – 664, წალენჯიხაში – 28 და ა.შ. გვარის ძირი სამკვიდრო სოფელია ლეჭურღულე, რომელმაც გვიან საჭურღულიოს სახელი მიიღო.

ეს სოფელი ლედგებიეს ფარგლებშია მოქცეული და აღერტს ემიჯნება. სწორედ აქ ცხოვრობს ჭურღულიების 67 კომლი. გარდა ამისა ჭურღულიები მკვიდრობენ ჭიჭე საჭურღულიოში, რომელიც მდინარე ყულწყარსა და ნიჯიხლალს შორის მდებარეობს ახალსოფლის თემის სოფელ უჩაშონაში, ამ თემში 32 კომლი ჭურღულიაა. გარდა ამისა ჭურღულიები ცხოვრობენ დღეს ინგირად ნოდებულ სოფელ ჯოლედიაში ||ჯოლემიანში (8 კომლი) სოფლებში კახათი (8 კომლი) ყულიშკარი(4 კომლი) რეყე/რიყე (3 კომლი)... (პ. ცხადაია. „გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში“, თბ. –2000. გვ.165).

გვარად ჭურღულიას ეტიმოლოგიის შესახებ რამოდენიმე მოსაზრება არსებობს. ჟურნალისტი ენვერ ჩიქავას სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლოა ამ გვარსახელში „ბგერების გადაადგილებათა“ (მეცნიერული ენით მეტათეზისთან) გვქონდეს საქმე და გვარ „ჭურღულია“-ს ფუძეს გალობის, ჭიკჭიკის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა „ღურჭული“ წარმოადგენს. თუ ეს ასეა, – წერს ის, – ჭურღულიათა წინაპარი მომღერალ-მგალობელი ჩანს“ (ე. ჩიქავა,

ახალკახათი, თბ. 2000, გვ. 48). მკვლევარი ნიკოლოზ ჯომიდავა, რომლის ეტიმოლოგიური ვარჯიშობები ხშირად ღიმილის მომგვრელია, გვარსახელს ჭურღულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე დაყრდნობით ყურნაჭრილი ცხვრის სიტყვა „ჭურღულა“-ს უკავშირებს, მაგრამ უფრო გალობა-ჭიკჭიკის აღმნიშვნელ ღურჭულ მეგრული სიტყვა ეგულება მის ფუძეში (ნ. ჯომიდავა. „3000 მეგრული გვარსახელი“, თბ.2000, გვ. 439). გალობის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვა „ღურჭულ“-ს მიიჩნევს ამ გვარსახელის შემადგენლად ცნობილი ონომასტიკოსი პაატა ცხადაია (იხ. მისი დასახ. ნიგნი, გვ. 165). როგორც ჩანს ეს ასეც უნდა იყო.

ამას უთითებს გვარსახელი ჭურღულაშვილი (ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986, გვ.240). ეტყობა ჭურღულაშვილები არიან გაქართლებული ჭურღულიები, ან მეგრული წარმოშობის თიკუნი დანარჩენ საქართველოში გავრცელდა ანტროპონიმად მეგრულშივე შეცვლილი (მეტათეზირებული) სახით, მაგრამ უფრო პირველი შესაძლებლობა უნდა იყოს სიმართლესთანახლოს. ამასმაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ჭურღულაშვილი მოხსენებულია 1703-1722 წლებს შორის შედგენილ განჩინებაში თარხან მდივანბეგისა და დავით-გარეჯის უდაბნოს შორის დავის საქმეზე, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ „ჭურღულაშვილი იმერეთიდანაა მოსული“ (ქართული სამართლის ძეგლები ტ. I

გვ. 292-293). არსებობს გვარ-სახელ ჭურღულიას წარმომავლობის კიდევ ერთი შესაძლებლობა, ის შეიძლება იყოს ტოპონიმის შემცველი გვარსახელი. ეს კი უნდა იყოს სავარაუდო ტოპონიმი „ჭურღუ“, რომლის მკვიდრი მეგრულად იქნება ჭურღული (შდრ. რუხი – რუხული. რეჩხი – რეჩხული). ჭურღულია იმგვარივე აღნაგობისაა როგორცაა მაგალითად გვარი მურღულია, სადაც აქ დაკარგული ტოპონიმი მურღუ უნდა გვექონდეს. ჭურღულიების საგვარეულოს შესახებ უძველეს დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ ლევან-V დადიანის წარწერა წმ. გიორგის ხატზე, რომლითაც მას დეკანოზი ნიკოლა ჭურღულია შეუწირავს, როგორც ჩანს, უგურყელის ეკლე-სიისთვის. ამის შესახებ ცნობა დაცულია ზუგდიდის მუზეუმში დაცულ ხატზე 1818 წელს გაკეთებულ წარწერაში, რომელშიც ნათქვამია: „**ბრძანებითა გრიგორის ძე ლევანს მიმიზარებია თქვენ, ჭურღულიებისათვის. თუ ეს ხატი დაიკარგა, ჩემდა ლაღატით მო(გ)იკითხა(ვ)თ. ამის მოცილე არა კაცი გყავთ. ქ. წმინდა(ო) გიორგი, ხატი ესე შენ(ი) და მღვდელ დეკანოზი ამის ჭურღულია ნიკოლა შეეწირა პირველს ლეონ დადიანმა (სიც) ქრისტეს საფლავისათვის და მის აქეთ დაძველებული იყო და კვლავადვე გავაკეთებინე ბრძანებითა ჯვარის მამისა ანკიკისითა, ჩვენ ჭურღულიებთან გულია, გერა, ჭუჭუმ წელსა უფლისასა ჩყი(‘)**“ (როსსიგ. ლაპპორის. IX. გვ. 38; თედო უორდანი, ქრონიკები III. გვ. 496; ლილი ბერაია, „სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები“, თბ. 2000 გვ. 3.). ლევან II დადიანმა მართლაც შესწირა ქრისტეს საფლავს და იერუსალიმის ქართველთა ტაძარს კორცხელის ეკლესია და კორცხელსა და მის მეზობელ სოფელში მცხოვრები 100 კომლი. ეს მოხდა 1640 წელს და ცხადია დეკანოზ ნიკოლა ჭურღულიას შეწირვაც ამ დროსაა. 1662–1667 წლებს შორის, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში, ილარიონ ნალენჯიხელი წერს: „**მე ნალენჯიხელმან ილარიონ, იერუსალიმს რომ ნაველ მას ჟამსა იქიობას, ალაბს ერთი კაცი ხინონმინდელისა დავისხენი და გამოუშვი. ამასობაში ვამეხ დადიანი რომ მოკლეს და ლეონ დადიანი რომ გაბატონდა, მაშინ ერთი კოცხელური კაცი ლაშქარში დაკარგული იყო და თათრითგან ხინონმინდელს დაეხსნა ჭურღულია წინაკოჩი ქობულეთს ოთხმოცდაათ მარჩილად და სამაგიეროდ ჩემთვის გამოგზავნა და მე ...ცხოველმყოფელს ჯვრის მონასტერს შევწირე“** (აბ. ტულუში, დოკუმენტები ქართული ეკლესიის

ისტორიისათვის, თბ. 2006. გვ. 39–40). 1675–1683 წლებს შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში ჯვარის მამა ნიკოლოზი წერს: „**ვიყიდე მე პატრონმან ჯვარის მამის ნიკოლოზ ალავერდის კარსა ჭურღულია სამნი ძმანი ხოხუა და მირდი და ურცხალი. ამათ მართებთ ბეგარა, ერთი კარგი საკლავი, ორ-ორი კაცის ხე გაკვრითა, დიდ გუდა ღვინო ორი, სხვა კაცის ტვირთი ორი ღვინო, ერთი კაცის ტვირთი ღომი, მისი პური, ქათამი, ყველი, კვერცხი და მარილი, კიდევ სასტუმრო საჭმელი“**... (აბ. ტულუში, დასახ. ნაშრომი, იქვე). იმ პირებს შორის, რომელთაც დავით დადიანის ზეობისას, 1847 წელს გამართულ სასამართლოზე ორზოლიების დასახელებულია კახათელი ჭურღულია (სიც) ბაყაია (ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. არქივი, 1, ფურც. 5) ეს ბაყაია კახათელი ჭურღულიების უშუალო წინაპარი ჩანს. ჭურღულიების უდიდესი ნაწილი საეკლესიო გლეხი იყო. თუმცა იყვნენ თავად მხეიძეთა ყმებიც. მაგრამ ჭურღულიების ერთი ნაწილი გააზნაურების გზაზე იდგა. ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მათ საკუთარი ყმებიც ყავდათ. 1854 წელს ყულიშკარის მკვიდრმა ჭუჭუ ჭურღულიამ, რომელიც სწორედ ის ჭუჭუ უნდა იყოს, რომელმაც 1818 წელს გულია და გერა ჭურღულიებთან (როგორც ჩანს მის ძმებთან ან ბიძაშვილებთან) ერთად წმ. გიორგის ხატი მოაჭედვინა. თავისი მოჯალაბე მიქელია ქვარსალია 200 ვერცხლის მანეთად მიყიდა დედოფალ ეკატერინეს (ზუგდიდი მუზეუმი, დოკ. 7301). აი, მოკლედ ის, რაც შეგვიძლია ვთქვათ ჭურღულიების საგვარეულოს ისტორიის შესახებ იმ მწირი მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც დღეისთვის მოვიძიე.

ამონერილია საქართველოს სახელმწიფო არქივიდან და ზუგდიდის ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიული წიგნებიდან.

აბასალო ტულუში,
მუზეუმის დირექტორი

ჭურღულიობა

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში არის 21 მოქმედი ეკლესია, მშენებარეა – 13. აქედან ერთერთია სოფ. ოდიში საჭურღულიოს „უგურყელი“-ს(წმ. გიორგის)სალოცავი. ლედგებიეს მთავარანგელოზთა ნაეკლესიარი, რომელიც მე-16 საუკუნეში ააშენეს და გასაბჭოებამდე მოქმედი იყო. აქ ამ მადლიან მიწაზე სამი ეკლესია იყო მოქმედი: „ყული“ – როგავების სალოცავი, „ალერტი“ – ანთელავების სალოცავი, „უგურყელი“ – ჭურღულიების სალოცავი, „ჭურღულიეფი

ოხვამე“. ჭურღულიების გვარის ორი უხუცესი ბატონები კოტე და ვლადიმერი იგონებენ მათთვის წინაპრებისაგან გადმოცემულ შემდეგ ლეგენდას: ყოფილან 4 ძმა ჯათუნი(ა), ძღვირინი(ა), ცაკუ და ჯარგუ ყარაჩის საზღვარზე მოუკლიად ყარაჩი, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სვანეთი, ჩამოვიდნენ აფხაზეთში და თავშესაფარი თხოვეს თავად შერვაშიძეს. მთასა და ზღვას შუა განლაგებულ მიწა-წყალზე შესაფერისი ადგილი ვერ შეურჩია თავადმა „მთის ხალხს“ და სამეგრელოში ლევან-II (1611–1657 წწ.) დადიანთან გაგზავნა ძმები. წერილი, სადაც შერვაშიძე თხოვდა თავშესაფარი მიეცა ძმებისთვის. წაიკითხა ლევანმა და თავისი მოურავი გვარად დგებუა იხმო უთხრა „მთის ხალხია“ ეს ხალხი, დაათვალიერებინე ჩემი სამთავრო, განსაკუთრებით

არსებული სინმინდეები და 5-5 ზარი ილორიდან ჩამოუბრძანებიათ. „უგურყელი“-ს წმ. გიორგის მოოქროვილი ხატი დღეს დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო ზარები (დედა ზარი ეს იყო დიდი ზარი, საშუალო ზომის სამი ზარი და პატარა ზარი) რომელიც სამივე ტაძარში იყო ერთდროულად იუნყებოდა ნირვალოცვის დაწყებას, 1922 წლის 23 თებერვალს საბჭოთა რუსეთში გამოშვებული ბრძანების „საქართველოს ეკლესიიდან განძეულის ამოღების შესახებ“ საფუძველზე ჩამოუხსნიათ. 1923 წლის გაზაფხულზე უკვე კომუნისტებმა 1212 ეკლესია დახურეს. გურიაში და სამეგრელოში არც ერთი ტაძარი აღარ მოქმედებდა. ზუგდიდის მახრამში 75 ტაძარი დაიხურა, მათ შორის ერთერთი ჩვენი ტაძარი იყო. ჩვენ ვიცით კომუნისტები მორწმუნეებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ, მათ თვალწინ ესროდნენ ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჯვრებს, ხვრეტდნენ ხატებს, პარსავდნენ მღვდლებს, მირონით ჩექმებს ინმენდნენ. ამ პროცესში ოდიშის საბჭოს თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობდა. „უგურყელის წმ. გიორგის“ მოოქროვილი ხატი, რომელიც დღეისთვის სახ. მუზეუმშია დაცული გამოიტანა ჩვენი ეკლესიიდან, დადო აქ ამ ეკლესიის ეზოში, ზედ გადააჯდა და თუთუნი მონია და ყვიროდა - ამას თუ რამე ძალა აქვს ჩემს შთამომავლობას შეეხოსო. გადმოცემით ვიცით: მისი შთამომავლობა ამ ცოდვის გამო ამონყვეტილა. ამ ფაქტს მემე ჭურღულია შეესწრო და დიდი წინაღმდეგობა გაუწია, რის გამოც იგი დაიჭირეს. არ ვიცით რა ბედი ეწია მას, მაგრამ როგორც ცნობილია მსგავსი ფაქტების გამო კომუნისტებმა ათასობით მორწმუნე დახვრიტეს. ჩვენ გვინდა დიდი მონინებით თავი დავხაროთ, ჩვენი სახელოვანი წინაპრის მემე ჭურღულიას სულის წინაშე. რომელიც ალბათ რომელიმე ჩვენთავანის ბაბუა ან დიდი ბაბუა იყო. ჩვენ მისი შთამომავალნი ყველა ერთად მადლიერი ვართ ყველა იმ ჭურღულიას ვინაც ჩვენამდე მოიტანა ეს ეკლესია - ...დიდი განძი საქართველოში. 2500 მეტი ჭურღულია რომლებიც ძირითადად თბილისში და სამეგრელოს რეგიონებში ცხოვრობენ, კერძოდ ზუგდიდში, ნალენჯიხაში, ოდიშში, საჭურღულიოში, ახალსოფელში, ახალკახათში, ინგირში, ყულიშკარში, რიყეში ცხოვრობენ. კარგი იქნება თუ მომავალში მოვახერხებთ იმას, რომ მივაკვლიოთ ხელოვნების მუზეუმში არსებულ ისტორიული წმ. გიორგის მოოქროვილ ხატს, დავანერინოთ მისი ასლი და პატრიარქს დავალოცინოთ ჭურღულიების გვარი.

2500 მეტი ჭურღულია რომლებიც ძირითადად თბილისში და სამეგრელოს რეგიონებში ცხოვრობენ. კერძოდ ზუგდიდში, ნალენჯიხაში, ოდიშში, საჭურღულიოში, ახალსოფელში, ახალკახათში, ინგირში, ყულიშკარში, რიყეში ცხოვრობენ.

მთიანი ადგილები და სადაც აირჩევენ მიწა-წყალს იქ მიეციო. ძმები 25 ქცევა მიწას ითხოვდნენ. ორმა ძმამ აირჩია ახალსოფელი - უჩაშონა, ორმა ოდიში - ლედგებიე. („უჩაშონა“ მეგრულად - შავი სვანია, ეს ორი ძმა შავგვრემანები ყოფილან. საჭურღულიო ეს ახალსოფელი იყო. ოდიში, ყველამ ვიცით, სამეგრელოს გულია, ხოლო ლედგებიეის ადგილია სადაც ეს ეკლესია დგას. მაშინ აქ დგებიები ცხოვრობდნენ). 1611-1657 წწ. ძმები დასახლდნენ და მათ ლევან-II დადიანმა მისცა გვარი „ჭურღულია“. ამ დიდი წყალობის გამო, რომელიც უფლის ხელდასმით მოხდა, ძმებმა პირობა დადეს მთავრის წინაშე, რომ მღვთისმსახურებას შეუდგებოდნენ და შეუდგნენ კიდეც. სწორედ ამის გამო ჭურღულიები განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან, ისინი გლეხები იყვნენ, მაგრამ არავის მოჯამაგირედ არ უდგებოდნენ, იმ დროისთვის დიდი პრივილეგიით სარგებლობდნენ, რადგან ყველაზე მთავარს ღვთისმსახურებას ეწეოდნენ, დადიანებმა კარგად იცოდნენ ამ მსახურების მადლი და ფასი. გასაბჭოებამდე საქართველოში 1450 ეკლესია არსებობდა. აქ, სამეგრელოს ამ მადლიან მიწაზე სამი ეკლესია ფუნქციონირებდა: „ყული“, „ალერტი“ და „უგურყელი“. ამ ეკლესიებში



26 მაისი

დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს.

1917 წლის რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილებით, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიას.

1918 წლის 26 მაისს მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მთავრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო, საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია“. დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდგეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა

თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აცხადებს:

1) **ამიერიდან საქართველოს ხალხის უვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.**

2) **დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.**

3) **საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.**

4) **საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი – მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.**

5) **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანახსნორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.**

6) **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.**

7) **დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.**

საქართველომ დამოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის ნამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.



9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია ანარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიზენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღერებული იყო მძლავრი იდეოლოგიზმით. ამან ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა კავშირი იტალიასა და იაპონიასთან; ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე. წ. „ებრაულ მსოფლიო შეთქმულების“ წინააღმდეგ; გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1-ელ სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის

გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი „სს“-ის წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

1941 წლის 22 ივნისის დილას კი ვერმახტის 149 დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო და მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევას ანარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 – დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 – ბალკანეთზე. მიხედვად ოპერატიული ინფორმაციისა, ნითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მეტრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის განწევის გარეშე დანებდა მარშით მიმავალ გერმანელებს.

1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა სტალინგრადთან (სტალინგრადის ბრძოლა 1942-1943). 1943 წელს კურსკთან ბრძოლებში (კურსკის ბრძოლა 1943) ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურების შედეგად მოხდა ძირითადი გარდატეხა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა გადასულიყო სტრატეგიულ თავდაცვაზე. საბჭოთა არმიამ დაიწყო ფართო შეტევა მთელ ფრონტზე. 1943 ზაფხულსა და შემოდგომაზე გაათავისუფლეს დონბასი და მარცხენა ნაპირის უკრაინა, გადალახეს დნეპრი და დაიწყო

ბელორუსიის გათავისუფლება. 1942 შემოდგომიდან ერთგვარად გააქტიურდა დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის სამხედრო მოქმედება. 1942 ოქტომბრის ბოლოს დაიწყო ინგლისის მე-8 არმიის (სარდალი გენერალი მონტგომერი) შეტევა ჩრდილოეთ აფრიკაში. ელ-ალამაინის ბრძოლაში (1942 წლის 23 ოქტომბერი - 4 ნოემბერი) გამარჯვების შემდეგ ინგლისის ჯარები 3 თვის განმავლობაში უტყვევდნენ გენერალ-ფელდმარშალ რომელის ჯარებს აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ და გავიდნენ ტუნისის სამხრეთ საზღვართან. 1942 წლის 8 ნოემბერს დაიწყო ამერიკა-ინგლისის საექსპედიციო ძალების (150 ათ.) გადასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში. მალე მოკავშირეებმა დაიკავეს მაროკო, ალჟირი, შევიდნენ ტუნისში. 1943 ზაფხულში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კუნძული სიცილია. სექტემბერს გადასხეს საზღვაო დესანტები აპენინის ნახევარ კუნძულზე (იტალიის კამპანია 1943-1945). საბჭოთა არმიის გამარჯვებები ხელს უწყობდა ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური ბრძოლის აღმავლობას.

1945 წლის თებერვალ-აპრილის I ნახევარში გაანადგურეს მტრის მსხვილი დაჯგუფებები აღმოსავლეთ პომერანიასა და სილეზიაში, გაათავისუფლეს ბალტიის ზღვის სანაპირო დანციგიდან ოდერამდე. გერმანიის წინააღმდეგ მოქმედების კოორდინაციისათვის და ევროპაში ომის შემდეგ წესრიგის დამყარების საკითხებთან დაკავშირებით 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში შედგა სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია (ყირიმის კონფერენცია 1945).


ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგობის უკანასკნელი ცენტრი ბერლინი იყო. 16 აპრილს დაიწყო გრანდიოზული ბერლინის ოპერაცია (1945). ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ (30 აპრილი) ადმირალ დენიცის მეთაურობით შეიქმნა მთავრობა, რომელიც ნითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას ცდილობდა. 6-11 მაისს საბჭოთა არმიებმა ჩაატარეს პრალის ოპერაცია (1945). ფართო ფრონტით შეტევის შედეგად საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაასრულეს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნების გათავისუფლება. 4 მაისს ხელმოწერილ იქნა აქტი გერმანელთა ჯარების დანებების შესახებ ნიდერლანდში, ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში, შლეზვიგ-ჰოლშტაინსა და დანიაში. 5 მაისს დანებდნენ ფაშისტური ჯარები სამხრეთ და დასავლეთ ავსტრიაში, ბავარიაში, ტიროლში და სხვა რაიონებში. 8 მაისს, შუალამისას საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული კარლსჰორსტის გარეუბანში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ფელდმარშალ ვ. კაიტელის მეთაურობით ხელი მოაწერეს აქტს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. უსიტყვო კაპიტულაცია

საბჭოთა მთავრობის დავალებით მიიღო საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ჟუკოვმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად. ხოლო 9 მაისს საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს ქალაქი პრაღა.

აგრესიულ სახელმწიფოთა კოალიციიდან, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა, 1945 მაისში ბრძოლას მხოლოდ იაპონია განაგრძობდა. 17 ივლისიდან - 2 აგვისტომდე შედგა სსრკ-ის (დელეგაციის მეთაური ი. სტალინი), აშშ-ის (დელეგაციის მეთაური ჰ. ტრუმენი) და დიდი ბრიტანეთის (დელეგაციის მეთაური უ. ჩერჩილი, 28 ივლისიდან - კ. ეტლი) მთავრობათა მეთაურების პოტსდამის კონფერენცია 1945 (1945), მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციისა და დემოკრატიული გარდაქმნის შესახებ. დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ჩინეთის მთავრობებმა წაუყენეს იაპონიას კაპიტულაციის კონკრეტული პირობები, რომლებიც იაპონიის მთავრობამ უარყო, სსრკ-მა, რომელმაც 1945 აპრილში მოახდინა სსრკ-იაპონიის ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დენონსირება, დაადასტურა მზადყოფნა ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ.

6 აგვისტოსა და 9 აგვისტოს აშშ-მა ატომური ბომბები ჩამოაგდო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, რის შედეგადაც დაიხოცა და დასახიჩრდა 1/4 მლნ-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. 8 აგვისტოს სსრკ-მა ომი გამოუცხადა იაპონიას. 9 აგვისტოს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საომარი მოქმედება მანჯურიაში განლაგებული იაპონელთა კვანტუნის არმიის (1,2 მლნ. კაცი) წინააღმდეგ. 10 აგვისტოს იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაც. საბჭოთა ჯარებმა სწრაფი შეტევით მოკლე დროში გაანადგურეს კვანტუნის არმია და გაათავისუფლეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ჩინეთის ნაწილი, ჩრდილოეთ კორეა, კუნძული სახალინი და კურილის კუნძულები. გათავისუფლებული მანჯურია ეკონომიკურად ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რაიონი, გადაიქცა ჩინეთის რევ. ძალების საიმედო სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად. სსრკ-ის ომში ჩაბმამ და კვანტუნის არმიის განადგურებამ დააჩქარა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია, რომლითაც 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო, დაემარცხებინა გერმანია.



„ანსაჲ ისა ან მღერინან, როგორც აჲ, აჲ ძვეყანაჲში“



გაბი სიორიძე

ლევენდის თანახმად, ინდოეთის მეფის უბრძანებია მთელი ქვეყნიერების „ულამაზისი ხალხი“ (გურულაზი) შეეპირებინათ და მასთან მიეყვანათ. ასეც მომხდარა. ინდოეთში მგზავრობის დროს გზაში გაუბნათ, რომ მეფე გარდანიცვალა, ამ დროს კი ის ხალხი, რომელიც მეფესთან მიჰყავდათ, დღევანდელი გურიის ტერიტორიაზე ყოფილან და აქვე დარჩენილან. სწორედ ამიტომაც, იმ ადგილის სახელი გურია გამხდარა. გურია, რომელსაც ნოდარ დუმბაძემ „სიცოცხლის სამოსახლო“ უწოდა. ადგილი, სადაც გარემოს მშვენიერებით აღტაცებული გალაკტიონი მიეტილეს არაერთხელ შეუძახებს:

„წინ მეეტლევ!

ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!

მსურს, რომ კიდევ ერთხელ გნახო

გაზაფხულის მთები მწვანე“.

...

მთები! როგორ შეენის მათზე გაზაფხულის

ბუჩქ-ფოთოლი,

როგორ შეენის ველზე ნამი, გამჭვირვალე,

როგორც ბროლი,

ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუპკრთალი,

რომ ანგელოს დანინახავს მოდარაჯე

კაცის თვალი“...



გაბი სიორიძე მეზულესთან ერთად

გურია, სადაც აპრილმა თავის ჯადოსნური ფუნჯით გარემო წალკოტს დაამსგავსა, სადაც მისდა უნებურად „კრიმინალური“ გემღერება და მისი ანბანი მხოლოდ აქ იციან, სადაც მასპინძელი კარში გეგებება და ფიალით მშვიდობის სადღეგრძელოს გთავაზობს, სადაც მკვირცხლი და ხალასი იუმორი მართლაც ხასიათის დღესასწაულს გიქმნის. აღტკინებული,



ლელა სიორიძე

შემართებით ჭანჭრობს აედევნები და მოლაღურის სტვენა სამოთხის შეგრძნებას გბადებს, სადაც მასპინძელი გულს გადაგიშლის და უკან წამოსულს სულში სითბოჩაღვრილს გრძნობით გათქმევინებს: „სამოთხეში ვიყავი სტუმრადო“. წამოსვლამდე კი გურული ტრადიციულად გესალმება:

- ჩვენებური ხარ?
- არა, ბატონო, სტუმრად ჩამოვედი.
- სიმღერა იცი?
- არა, ბატონო.
- დალევა თუ გიყვარს?
- არა, ბატონო.

— აბა, ქათამს ხო ტურაც ჭამს! — ხითხითით მოგაძახებენ ჭიშკართან ჩამომსხდარი, ბახმაროდან ჩამომდგარი ნისლის კვამლში გახვეული თეთრი ყაბალახიანი ბაბუები და „ხასანბეგურითა“ თუ „კრიმანჭულით“ გაგისხნიან გულის კარებს, წყლის მაგივრად სანთლის არაყს მოგანვდიან და მშვიდობის სადღეგრძელოს ზღურბლზევე შეგასმევენ.

დადებითი გრძნობით დახუნძლული ოზურგეთის თეატრისაკენ გავემართეთ. ადგილი, სადაც „ნადური“ იმღერება, ადგილი, სადაც „კრიმანჭული“ და „ხასანბეგურა“ ჟღერს, სადაც „ფარცაკუკუ“ და „კალმახობა“ წარმოდგენად გვეშლება თვალწინ,

*„ჩემი ჰაჯანა გურია,
სულ მთლად სული და გული“
მ. ბაქანიძე*

ადგილი, სადაც უმდიდრესი ფოლკლორული საუნჯეა დავანებული, ადგილი, რომელმაც საქართველოს დამსახურებული არტისტის ომარ ხურციძის საზეიმო საღამოს უმასპინძლა ქართული ქორეოგრაფიის ვარსკვლავთცვენის ბაირალი გახლდათ.

იმ დღეს ოზურგეთში კიდევ ერთი შემოქმედებითი

ვარსკვლავი აკიაფდა. პატარა გურულები ცეკვის ენით ესაუბრებოდნენ სტუმარსა თუ მასპინძელს. დიახ, სტუმრებს. იმ დღეს ოზურგეთს ქორეოგრაფის კორიფეები სტუმრობდნენ, — ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, თენგიზ უთმელიძე და სხვები, რომლებმაც თავიანთ კოლეგას პატივი მიაგეს და დამსახურებული ქათინაურებით შეამკეს. საღამო მწერალმა, მსახიობმა და ქორეოგრაფმა გივი სიხარულიძემ გახსნა. ამ ყოველივეს წინ ქალაქის მერის ბატონ ბეგი სიორიძის შეხვედრა უძღვოდა, რომელმაც ქალაქში მობრძანებულ სტუმრებს მასპინძლობა გაუნია, ჯერ თეატრის შენობისკენ გაუძღვა, შემდეგ კი, ულამაზესი წარმოდგენის დასასრულს, ტრადიციული, ქართული ვახშამი გაუმართა, სადაც უცხო თვალისთვისაც კი ადვილი შესამჩნევი გახდა, რაოდენ დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს ბატონი მერი თანამოქალაქეებს შორის, მერს მხარს უმშვენივლად ულამაზესი მეუღლე, ლელა სიორიძე, ნამდვილი ქართველი ქალი, ღიმილიანი, თავაზიანი, ყურადღებიანი, გონმალალი. ქალი, რომელმაც კარგად იცის, რომ თავმდაბლობა ქალისთვის ყველაზე ძვირფასი სამკაულია. აი, ეს ოჯახი მასპინძლობდა უამრავ სტუმარს.

ქართული სუფრის მნიშვნელობა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, საქვეყნო საქმე ოდითგანვე მეტწილად სუფრასთან წყდება, აქ ვლინდება ადამიანის ზნე და ხასიათი. სწორედ, რომ ეს სუფრა

*„სიციოცხლის სამოსახლოა,
ჩემი ჰაჯანა გურია“
ნ. დუმბაძე*

აღმოჩნდა სარკე ბეგი და ლელა სიორიძეების სულიერებისა და მიზანსწრაფვისა. ბატონ ბეგის დედაქალაქი თავისი კუთხის სიყვარულმა დაატოვებინა, შეჩვეულ კომფორტზე უარი ათქმევინა და თავის ძირძველ გურიაში დაასახლა, იფიქრა, იქნებ მცირეოდენი წვლილი შევიტანო ჩემი მამაპაპისეული საძვალის, ჩემი ოზურგეთის კეთილდღეობის საქმეშიო და ასეც მოხდა. ბატონი ბეგი დღეს ოჯახთან ერთად ოზურგეთში ცხოვრობს, რომ თავის გურულებს შვება მისცეს, იყოს მედიატორი მათსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, აკეთოს საქმე ხალხისთვის, რომლებმაც ის რჩეულად სცნო და ნდობა გამოუცხადა.

აი, ეს იყო კულტურულ-ტრადიციული ჯანყი გურიაში, ჯანყი სულიერი დღესასწაულისა, ჯანყი ტრადიციების დემონსტრირებისა, ჯანყი კეთილმოსავი გურული მასპინძლობისა, რომლის მედროშეობაც სიორიძეების ოჯახმა ითავა.

უკან დაბრუნებისას კვლავ გალაკტიონი მახსენდება:

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

ნინო ჩხვიაშვილი

ლოგონდები და თქმულებები სამეგრელოზე

მარტვილი თუ ჭყონდიდი

მარტვილი — ბერძნულად ნამებულს ნიშნავს. მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო ჭყონდიდი. ჭყონდიდის მარტვილთა ეკლესია აგებულია VII-საუკუნის I-ლ ნახევარში. შუა საუკუნეებში ეკლესია ღვთისმშობლის სახელობის გახდა. სხვადასხვა დროს მარტვილში მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობარი, სტეფანე სანენოიძე (X საუკუნე), გიორგი ჭყონდიდელი, იოანე მესვეტე (XI საუკუნე), გიორგი ჭყონდიდელი — მწიგნობართუხუცესი (XI—XIII სს.) და სხვა.

მარტვილის მონასტერში დაცული ხელნაწერთა კოლექცია ამჟამად ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინტიტუტში.

მარტვილის ტაძარი გუმბათოვანია. თავდაპირველად იგი მცხეთის ჯვრის ტიპის იყო, ოღონდ უფრო მცირე მოცულობის. ტაძრის

ცალკეულ ნაწილთა შეფარდება ქმნის დიდი და მსუბუქი შინაგანი სივრცის შთაბეჭდილებას. ფასადის რელიეფის ფრიზები შესრულებულია დეკორაციულ სტილში. ფიგურები და მცენარეული ორნამენტი ერთიან ნახატებშია ჩართული. ფრიზებზე ბიბლიისა და სახარების სიუჟეტებია გამოსახული.

ეკლესია მნიშვნელოვნად გადააკეთეს X-საუკუნეში. დაუმატეს გარეთა კედლები, ამოიყვანეს ახალი გუმბათის ყელი. ინტერიერი სხვადასხვა დროსაა მოხატული. ტაძრის გვერდით დგას მცირე ორსართულიანი ეკლესია.

P.S. მარტვილის მაცხოვრის ხატი დაცულია ხელოვნების მუზეუმში (შესრულებულია იოანე საბანიძის მიერ).



თქმულება ჭყონდიდზე

ჭყონდიდი - მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს. უამრავი გადმოცემა თუ ლეგენდა არსებობს სამეგრელოში ამ კერპთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, იმ გორაკზე, სადაც ახლა მონასტერია განთავსებული, უზარმაზარი მუხა მდგარა, რომლის ერთი ტოტი მდინარე აბაშის ნაპირს სწვდებოდა, მეორე ტოტი კი — ცხენისწყლისას. მუხის ძირას აღმართული იყო სამსხვერპლო, სადაც მსხვერპლშენიერვის რიტუალი სრულდებოდა. წელიწადში ერთხელ კერპმსახური ქურუმები ირჩევდნენ შესანიშნავ ბავშვებს და რიტუალი თვითონ დედას უნდა

შესრულებინა — უნდა დაეკლა და მისი თბილი სისხლი კერპისთვის ეპკურებინა, გვამი კი სამსხვერპლოზე დაენვა. გადმოცემით, თუ ბავშვის ნეშტისგან ამოსული კვამლი მალლა აიჭრებოდა და მუხას ასცილდებოდა, კერპი ღებულობდა შესანიშნავს, თუ დაბლა გაიშლებოდა, რისხვას დაატეხდა შემწირველს. ერთხელაც დედამ მიიყვანა სამსხვერპლოდ გამზადებული პირმშო, მაგრამ ვერ შეძლო რიტუალის შესრულება. ქურუმებმა დედა ჩაქოლეს, ხოლო ბავშვი კერპს მაინც შესწირეს. შვილის ვერგამმეტებელი დედა კი თურმე ეცხადებოდა ხალხს და გაჰკიოდა: "მა

რყვილი, სქუა, მა რყვილი!" ("მე მოგკალი, შვილო, მე მოგკალი"). ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ აქედან მოდის სახელწოდება მარტვილიც. მკვლევართა ვარაუდით კი, მარტვილი ბერძნული სიტყვაა და წამებულს ნიშნავს. მე-7 საუკუნეში აგებული

ეკლესიაც წამებულთა, მარტვილთა სახელობის იყო. გვიან, შუა საუკუნეებში კი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის გახდა.

გივი ელიაშვილი

იაკონელი იანგაბი – უკველესი კოლხური ტომი



გაზეთში „ასავალ დასავალში“ (2000წელი.16–22 აგვისტო, 33) გამოქვეყნდა დალი მიქავას საუბარი ქეთევან ხამიცაშვილთან სათაურით „მიქავა იაკონიაში, ნაგასაკირში, ცნობილი გვარია“, რომელშიც ნათქვამია, რომ იაკონიაში მდებარეობს სოფელი მიქავა, ცხოვრობდნენ ისტორიული პიროვნებები, ადმირალი გუნინი და მომღერალი ქალბატონი კიონიში მიქავეები, რომელსაც ადასტურებს საქართველოში იაკონიის ელჩი მახიოში კამოჭარა. ეს ისტორიული ფაქტია.

ლეგენდა "ცაშკიბულზე"

ლეგენდა „ცაშკიბულზე“. მდინარე წისქვილარას ულამაზესი ხეობის ჩრდილოეთით, სადაც ეგრისის გოლიათი მთები გადმოჰყურებენ სამეგრელოს და დასავლეთ საქართველოს, კავკასიონის მთებისაკენ მიმავალ ბუნების მოყვარულებს პირველი ეგებება 3017 მეტრი სიმაღლის მქონე მთა „ცაშკიბული“ (ცის კიბე).

ჩვენი ხალხი ოდითგანვე მისდევდა მესაქონლეობას. ზაფხულის პერიოდში მწყემსები ნახირს მთებში საძოვრებზე მიერეკებოდნენ და გვიან შემოდგომამდე იქ რჩებოდნენ. მძიმე იყო მთაში ცხოვრება, მაგრამ იძულებული იყვნენ თავიანთ ბედს დამორჩილებოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, ძლიერი უამინდობით შეწუხებულმა მწყემსებმა გადაწყვიტეს ახლომდებარე მწვერვალზე კიბე მიედგათ, საფეხურები კლდეებისაგან გამოეთალათ და მალლა ღმერთთან ასულიყვნენ, რათა დახმარება ეთხოვათ.

ერთი თვე დღედაღამ მუშაობდნენ იქაური მწყემსები კიბის მშენებლობაზე. თითქოსდა ყველაფერი კარგად უნდა დასრულებულიყო,



მაგრამ კიბე საკუთარი სიმძიმისაგან უცებ ჩამოიშალა და მწვერვალის ირგვლივ ასეულობით ჰექტარზე მიმოფანტა. მწყემსები მომხდარმა ძლიერ შეანუხა, მაგრამ თავიანთ ნახელავს რომ უყურებდნენ, თვითონაც უკვირდათ თუ როგორ გამოთალეს კლდეებიდან კიბის ამდენი საფეხური. გადაწყვიტეს, რომ იმ ადგილისათვის „ცაშკიბული“ დაერქვიათ.

ასე უხსოვარი დროიდან დგას ლამაზ მთებს შორის უმაღლესი „ცაშკიბული“ და უხმობს მბახველებს.

ლეგენდა ტბა "პაპანწყვირი"-ზე

ხობის რაიონის სოფელ ხეთის ტერიტორიაზე, გორაკზე მდებარეობს სამეგრელოში ცნობილი პატარა ტბა სახელად „პაპანწყვირი“. ლეგენდის თანახმად ტბის ადგილზე ცხოვრობდა მღვდელი (მეგრულად პაპა). როდესაც ერთხელ მღვდელმა თავის დამხმარე ადამიანებს, ნაღს სადილად აჭამა ძაღლის ხორცი, მიწა იძრა და მღვდელი თან ჩაიტანა, ჩაიძირა. (მეგრულად დინწყუ) და ამ ადგილას აღმოცენდა ტბა, რომელსაც უწოდეს „პაპანწყვირი“ (ქართულად ჩაძირული მღვდელი).





უძველესი დროიდან ვარდი რჩება ყვავილების შეუცვლელ დედოფლად, სილიადისა და სილამაზის სიმბოლოდ. მისი სილამაზე და მისტიურობა ადამიანის ყურადღებას იპყრობა. ის უყვარდათ და თაყვანს სცემდნენ, მას ხოტბას ასხამდნენ უძველესი დროიდან. ვარი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა ყველა ერში. არქეოლოგიური მონაცემებით ვარდრი დედაინაზე უკვე 25 მილიონი წელია არსებობს, ხოლო მისი ხელოვნური მოშენება 5000 წელია მიმდინარეობს და ამ დროის უდიდესი ნაწილში ის ითვლებოდა წმინდა სიმბოლოდ. ვარდების სურნელი ყოველთვის უკვირდებოდა არა ამქვეყნიურს.

ძველად ჰქონდათ ტრადიცია, რომლის მიხედვით სალოცავებს ცოცხალი ვარდებით რთავდნენ. ის მოჰყავდათ ჯერ კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინ აღმოსავლეთით. ყველაზე ძველი მონაცემები ვარდის შესახებ გვხვდება ძველ ინდურ თქმულებებში, თუმცა მის სამშობლოდ სპარსეთი ითვლება. ძველსპარსულ ენაში სიტყვა „ვარდი“ პირდაპირ ნიშნავს „სულ“-ს. ძველი პოეტები ირანს უწოდებდნენ „გი უ ლ ი ს ტ ა ნ“-ს, რაც ნიშნავს ვარდების ქვეყანას (აქედანაა ალბათ საქართველოში ქალის სახელი „გიული“ ანუ „ვარდი“:|). ბენგალური ვარდები წარმოშობით ინდოეთიდანაა, ჩაის ვარდები ჩინეთიდან.

ყვავილების დედოფალს პრივილეგიებული პირებიც აფასებდნენ. ფუფუნების მოყვარე კლეოპატრამ სწორედ ვარდების ფოთლებით გარემოცულ ადგილას მოხიზლა მიუდგომელი მეომარი მარკუს ანტონიუსი. ლეგენდის მიხედვით ძველ ინდოეთში, ღირსშესანიშნაობების დროს ერთ-ერთმა მმართველმა ბრძანა ვარდის ფოთლებით აეცსოთ წყლის ავზი. მოგვიანებით ხალხმა შეამჩნია,

რომ წყლის ზედაპირი ვარდის თხელი ესენციით დაიფარა. სწორედ ასე გაჩნდა ვარდის ზეთი.

როგორც ცნობილია სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე ზღვის ტალღებისგან გაჩნდა. ჯერ გამოსულიც არ იყო ხმელეთზე, რომ მბრწყინავმა ქაფებმა მის სხეულზე ღია წითელ ვარდებად იწყეს გადაქცევა.

ძველი ბერძნებისთვის ვარდი ყოველთვის იყო სიყვარულისა და მწუხარების, პოეზიისა და ფერწერის სიმბოლო. ძველი ბერძენი პოეტი ქალი საფო ვარდს „ყვავილების დედოფლად“ იხსენიებდა. დიდ სოკრატს მიაჩნდა, რომ ვარდი ყველაზე მშვენიერი და ყველაზე სასარგებლო ყვავილია დედამიწაზე. ძველბერძნული მითებიდან ვიცით, რომ სალოცავები, რომლებიც აფროდიტეს ეძღვნებოდა გარშემორტყმულნი იყვნენ ვარდის ბუჩქებით, ხოლო თვითონ ქალღმერთს ძალიან უყვარდა ვარდის წყალში ბანაობა.

II ათ. ჩვ. წ. აღ. კ. კრეტაზე ვარდებს გამოსახავდნენ სახლებზე, ხოლო ათასწლეულების წინ კი ფარაონების სამარხებზე. ძველი რომაელები იმდენად აღმერთებდნენ ვარდების სილამაზეს, რომ მათ ხორბლის მაგივრად თესდნენ, ხოლო ზამთარში გემებით გამოჰქონდათ ყვავიელები ეგვიპტიდან. კიდევ ერთი ისტორია თუ რატომ განითლდა ვარდი: ედემის ბაღში სეირნობის დროს ევამ ვარდს აკოცა და ისიც ამ სიამოვნებისგან განითლდა. ვარდი ყვავილია, რომელიც ძალიან ფასობს ქრისტიანებაში. მას სწორედ ასე უწოდებენ – **ღვთისშობლის ყვავილი**.

მხატვრები ღვთისშობელს გამოსახავდნენ სამი თაიგულით. **თეთრი თაიგული ნიშნავდა მის სიხარულს, წითელი – მწუხარებას, ხოლო ყვითელი – დიდებას.**

ვარდობის თვე

წითელი ხავსისებრი ვარდი ქრისტეს სისხლის წვეთებისგან შეიქმნა. როდესაც მას ჯვარზე აკრავდნენ, ანგელოზები სისხლის წვეთებს აგროვებდნენ, რამოდენიმე წვეთი ხავსზე დაეცა და იქიდან გაიზარდა ვარდი. ლაულაჟა წითელი ფერია, რომელიც უნდა გვახსენებდეს ჩვენი ცოდვების გამო დაღვრილ სისხლს.

ბულბულმა რომ დაინახა თეთრი ვარდი აღფრთოვანდა და გულში ჩაიკრა, ბასრი ეკალი გულში შეერჭო და მისმა სისხლმა ვარდის ფოთლები წითლად შელება.

რაინდები ერთ დროს თავის სატრფოებს ვარდს ადრიდნენ. ისინი ვარდით მშვენიერები და მიუკარებლები მიაჩნდათ. მრავალი რაინდი ფარის ემბლემად სწორედ ვარდს ირჩევდა.



ყვავილების თაიგული – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საჩუქარი. ყვავილებს ჩუქნიან როგორც დღესასწაულებზე, ასევე უმიზეზოდ, არ ფიქრობენ იმაზე, თუ რას ნიშნავს ფერი ან რაოდენობა. არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც რაოდენობასა და ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. თაიგულის საშუალებით შეიძლება გამოხატოთ სიყვარული, ითხოვოთ პატიება ან საყვარელი ადამიანის ხელი.

წითელი ვარი: სიყვარულზე მიანიშნებს. როდესაც საკუთარ გრძნობებზე სურთ საუბარი, ან გრძნობების გამჟღავნება, წითელ ვარდებს ჩუქნიან. თუ გრცხვენიათ სიყვარულში გამოტყდომის, მაგრამ ამასთანავე საკუთარი

გრძნობის გამოხატვა გინდათ, წითელი ვარდების თაიგული დაგეხმარებათ – თქვენს გრძნობებზე ისინი ისაუბრებენ.

ყვითელი ვარი: მეგობრობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალ ვიქტორიას დროს, ყვითელი ვარდები ეჭვიანობის გამომხატველი იყო, ახლა ისინი ბედნიერების, სიხარულისა და მეგობრობის სიმბოლოს გამოხატავენ.

თეთრი ვარი: მიუთითებს უმანკობასა და სიმშინდეზე. ამ ფერის ვარდებს პატარძლის თაიგულში ხშირად იხილავთ. თუ გსურთ მეგობარ გოგონას მიანიშნოთ, რომ ბედნიერებისაგან ცაში ფრენთ, აჩუქეთ თეთრი ვარდები.

1 ვარდი – მიანიშნებს, რომ ეს გოგონა თქვენთვის

ერთადერთი და განუმეორებელია;


2 ვარდი – ორმხრივ სიყვარულზე მეტყველებს;

10 ვარდი – მის სილამაზესა და გონიერებაზე მიუთითებს;

15 ვარდი – პატიების თხოვნას ჰგავს;

20 ვარდი – „დამიჯერე მუდამ შენთან ვიქნები!“

24 ვარდი – მთელი დღე-ღამის განმავლობაში მასზე ფიქრობთ. თუმცა იგივე შეიძლება თქვას 365 ვარდმა.





სრულიად საქართველოს ეცნობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, უსახლკარო და მიძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისიის წევრებთან ერთად საცხოვრებელი სახლის ესკიზები განიხილა.

საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისია ოთხთახიანი და ხუთთახიანი სახლის ესკიზების 3 ვიზუალიზაციას გაეცნო.

მუნიციპალიტეტის გამგებლმა ედიშერ თოლორაიამ არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის წარმომადგენლებს წარმოდგენილი ესკიზების დეტალური შესწავლა და საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება დაავალა.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ საცხოვრებელ სახლებზე კონკურსი მიმდინარე წლის 11 აპრილს გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა ორმა კომპანიამ, შპს „პროფესიანალი 33“ და შპს „დაბლ ბი“ - მ მიიღო.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სატყეო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, საშეშე მასალის სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გადაცემის ფორმაზე და ტექნიკურ დეტალებზე კომისიის სხდომაზე იმსჯელეს. გამგებლის მოადგილის გიზო სართანიას განმარტებით, 153 კუბური მეტრი მერქნული რესურსი, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობას გადაეცა, სოციალურად დაუცველ 51 ოჯახს გადაეცემა. ხის მასალა შ.პ.ს „ენერგოტრანსი“-ს და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ „ჯვარი ხორგას შემაერთებელი ქსელის“ პროექტის განხორციელების ფარგლებში, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებით ხეების მოჭრით დაგროვდა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, სატყეო სამსახურის წარმომადგენლებს, თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.



რეკონის ხმა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურმა კომისიამ, ნაცატუს, ქკადუაშის, ინგირის, ჯუმისა და რუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში, იმ ბენეფიციარების მდგომარეობა ადგილზე გადაამოწმა, რომლებიც მომვლელის პროგრამაში ჩართვას ითხოვენ.

ჯუმისა და რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში კი, ის ოჯახები გადაამოწმა, რომელთა განცხადება



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ედიშერ თოლორაია, ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში დღეს, ჭაბურღილის მონყოფის წინა მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობას დაესწრო და ადგილობრივებს გაესაუბრა.


მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფლის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, რომ ორ თვეში სოფელს საბოლოოდ მოუგვარდება წყლის მომარაგების პრობლემა და სასმელ წყალს უწყვეტ რეჟიმში მიიღებენ.

მუნიციპალიტეტის გამგებელს ედიშერ თოლორაიას ნაცატუს მოსახლეობამ პრობლემის მოგვარებისთვის მადლობა გადაუხადა. სოფელი წყლის პრობლემას 25 წელია განიცდის. ჭაბურღილის მონყოფის შემდეგ 89 ოჯახი წყალს ინტენსიურად მიიღებს.

ნაცატუში ჭაბურღილის მონყოფის სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი სრული დაფინანსებით ასორციელებს, რომლის ღირებულებაც 302 000 ლარს შეადგენს.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის კომისიამ, ამ თვის ბოლო სხდომაზე 74 ბენეფიციარი დააფინანსა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისა და ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარის გიზო სართანიას ინფორმაციით, შემოსული განცხადებებიდან, 40 ბენეფიციარი მედიკამენტებით დაფინანსდა, ოპერაცია 3-ს ხოლო ტომოგრაფია 4 მოქალაქეს დაუფინანსდა, „ც“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის პროგრამაში კი 27 ბენეფიციარი ჩაერთო. აღნიშნული სამედიცინო მომსახურებებისთვის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ბიუჯეტიდან 23282 (ოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაორი) ლარი დაიხარჯა.



ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულოს საკრებულოს მეთაურთა ოფისი

სახლის სამსახური

✓ ქალაქ ზუგდიდში, ანდრია დადიანის სახელობის სკვერში ჭადრაკის სააღდგომო ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა.

✓ ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას 18 ეპარქიის 24 გიმნაზიის აღსაზრდელები მიიღებენ, დღეს ჭადრაკის ტურნირით გაგრძელდება და ხვალ, 4 მაისს გიმნაზიელების მიერ ღვთისმშობლის კვართის მოლოცვით, სააღდგომო ნახატებისა და ნაკეთობების გამოფენითა და საზეიმო კონცერტით დასრულდება.

✓ ჭადრაკის სააღდგომო ფესტივალი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ცენტრის პატრონაჟით, ქალაქ ზუგდიდის მერიის, ქალაქ ზუგდიდის საჭადრაკო სახლისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანადგომით ტარდება.



✓ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქ ზუგდიდის მერიამ მუკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებსა და ვეტერანებს სააღდგომო საჩუქარი მოუმზადა.

✓ სასაჩუქრე კალათები, რომელიც საკვებ პროდუქტებს მოიცავს დღეს ქალაქ ზუგდიდის მერმა, ირაკლი გოგობიამ, საკრებულოს თავმჯდომარე, მერაბ ქვარაიამ, მერის მოადგილე, კობა ჯიქიამ და მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა უფასო სასადილოსა და სოციალური საცხოვრისში დაარიგეს.

✓ დღის განმავლობაში მერიის სააღდგომო საჩუქრებს ვეტერანები, დედ-მამით ობლები და სხვა უმწეო კატეგორიის მოქალაქეები მიიღებენ.



ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და დევნილთა სამსახურის, უმწეო ოჯახების გათბობის სამუშაოებითა და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალურად დაუცველ, მარტოხელა პენსიონერს, გუგუშა მანიას მაცივარი გადასცა.

ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე 12 საბავშვო ბაღის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები დაიწყო.

✓ ამორტიზებული ხის კარ-ფანჯრების, იატაკისა და კედლების დემონტაჟი უკვე დასრულებულია.

✓ მიმდინარეობს შენობის გარე და შიდა ფასადის შელესვითი სამუშაოები და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟი.

✓ 12 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციისათვის 248 088 ლარია გამოყოფილი.

✓ აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობასა და ხარისხს მერიის ქალაქმშენებლობის სამსახური მონიტორინგს ყოველდღიურ რეჟიმში უწევს.



✓ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურს ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული 2014-2015 სასწავლო წლის ეროვნული ოლიმპიადის მონაწილე ბავშვები და პედაგოგები დააჯილდოეს.

✓ სასწავლო ოლიმპიადის ქიმიის დასკვნით ტურში ქალაქ ზუგდიდის 2 საჯარო სკოლის 2 გუნდი მონაწილეობდა. ზუგდიდელმა მოსწავლეებმა სასწავლო ოლიმპიადის ქიმიის ტურში საპრიზო, მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს.

✓ გამარჯვებულ მოსწავლეებსა და სამ პედაგოგს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სიგელები, ხოლო ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ საჩუქრები გადასცა



შტრიხები წარსულიდან

კობაკ მოხვდნენ მებკელები ნაპოლეონის აკმიჯში?



სისხლი თავისას შვრება - ამ ნახატის ფოტორეპროდუქციას 100 წელს მიღწეული ქალბატონი ისე ინახავდა, არც კი იცოდა, რა ამბავს მოუყვებოდა მასზე დარჩენილი წარსული. სისხლი ეძახდა და ინახავდა.

წლებს მიჰქონდა ტკივილიცა და სიხარულიც, ფერმკრთალდებოდა და იცვითებოდა ამ ქალბატონის ახლობლების ფოტოები, მაგრამ ეს სურათი ალბომიდან ალბომში ჯიუტად გადაჰქონდა. ქმარმა დაუტოვა - ჩემ შემდეგ შენ გაუფრთხილდიო... არც ის იცოდა, ქმარს საიდან ჰქონდა. მერე იფიქრა, როცა თავად აღარ იქნებოდა, სურათს ვერავინ მოუფრთხილდებოდა და ჩვენ გადმოგვცა, - თქვენზე უკეთესს ვის მივცემ, ამის ფასი გეცოდინებათო. ჩვენ მას მეცნიერებს გადავცემთ და ისინი შეუნახავენ შთამომავლობას. მანამდე იმას მოგიყვებით, რაც ამ ფოტორეპროდუქციაზეა გადმოცემული. მასზე ის ქართველები არიან, რომელთა სისხლი, როგორც ჩვენს ბედისწერას სჩვევია, გადაკარგულში, ბოროდინოს ველზე, ორი დიდი იმპერიის ომში იღვრებოდა - საფრანგეთისა და რუსეთის. ეს 1812 წელს მოხდა. ვინ იცის, სხვის ომში მიღებული რამდენი ჭრილობა ჰქონდათ ნატანჯ სხეულზე. მერე ეს ნახატი რუსეთის იმპერიამ გამოსცა ღია ბარათად წარწერით - „**მეგრელები ბოროდინოს ომში**“. რუსეთისთვის ისინი მეგრელები იყვნენ - ასე გვყოფდა (და გვყოფს - მეგრელებად, გურულებად, სვანებად...), ჩვენთვის კი ჩვენი სისხლი და ხორცია და ბედისწერის უკუღმართობის ძახილი. თუმცა საამაყოც არის. აბა, დახედეთ, რა სიმამაცე აღბეჭდვიათ კუმტ სახეებზე, ასხლეტილ ტანზე იარაღი როგორ უხდებათ. ეს ჩვენ ვართ, ასეთნი ვიყავით და ასეთნი ვიქნებით... ის კი გაუგებარია, რუსეთის იმპერიამ ეს ღია ბარათი რატომ გამოსცა, ვის რა ხელს აძლევდა. მასზე ხომ საფრანგეთისთვის

მებრძოლი ქართველები არიან გამოსახულნი, ფრანგული დროშისფერებიანი ორდენებით - იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს ჯარისკაცები! მაგრამ მის გამომცემელს რუსეთის ინტერესებზე მეტად ალბათ, შემოსავალი აინტერესებდა. მისი რა საქმე იყო, ეს ქართველები ვის მხარეზე იბრძოდნენ, მთავარია, ფოტო კარგად გაიყიდებოდა. - ვინ არ იყიდდა. ღმერთმა აცხონოს, მან ამ ღია ბარათით ჩვენი ისტორიის ახალი ფურცელი დაწერა.

როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ სამეგრელოდან გადახვენილი ვაჟკაცები ფრანგი იმპერატორის არმიამში? იქიდან, საიდანაც ქართველს ბედისწერა მიაქანებდა - ეგვიპტიდან. ისევ ჩვენიანები ყიდდნენ რჩეულ ქართველ ჭაბუკებს მამლუქებად. ნაპოლეონმა კი 1798 წელს აიღო ეგვიპტე და პირველად ნახა მამლუქების თავგანწირული ბრძოლა. შემდეგ კი, როცა ბრძოლის ველზე მამლუქებისგან აჩეხილი ფრანგი ჯარისკაცები დაკრძალა, სარდლებს უბრძანა, - რადაც უნდა დაგიჯდეთ, მამლუქები გადმოიბირეთო. მაშინ ეგვიპტის სულთნები გასაჟღეცხად იყვნენ შესეული ქართველებს - მათი ეშინოდათ. ამიტომაც გამჭრიახმა იმპერატორმა 500 მამლუქის გულის მოგება მოახერხა. ფრანგები დღესაც დიდი მონივნებით წერენ ვინმე ქართველ რუსტამზე, რომელიც ეგვიპტიდან გაჰყვა ნაპოლეონს და იმპერატორი სამუდამოდ დაივალა - შეთქმულთაგან სიკვდილს გადაარჩინა. დაივალა კაცი, რომლისგანაც თავად საფრანგეთი დარჩა დავალებული. დიდი იმპერატორის დაკრძალვის დღეს კი ფრანგებს შორის მისი მამლუქი მცველი, რუსტამი იდგა. ჭარმაგობაში შესული ქართველის გარეგნობა თვალს იტაცებდა - ყველა უყურებდა. არავინ იცის, იყვნენ თუ არა ამ ფოტორეპროდუქციაზე ასახული ჯარისკაცები იმ დღეს პროცესიაზე, მათი სახელებიც წლებმა წაიღო, მაგრამ თუ მანამდე ცოცხლად მიაღწიეს, მუხლს უეჭველად მოუყრიდნენ მამაც იმპერატორს - ქართველები ქედს მხოლოდ სიმამაცის წინაშე ვიხრით.

P.S. ფოტოს გადმოცემისთვის მადლობას ვუხდით ქალბატონ ნათელა ხორავას, კონსულტაციისთვის კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ მერაბ კალანდაძეს.

ეთიარ ქრაძე



თბილისში ღაგაენდარული ნონ გაფრინდარული ვარსკვლავი გაინსნა

თბილისში, ჭადრაკის სასახლის წინ, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდარული ვარსკვლავი გაინსნა. დონისძიება სახელგანთქმული მოჭადრაკის 75 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„ჩემთვის დიდი პატივია ის, რაც დღეს ხდება. ვარსკვლავის გახსნა პატარა საქმე არა არის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას დღევანდელი დღისათვის. მე ვიყავი და ვიქნები საქართველოს სამსახურში“, ამბობს ქალბატონი ნონა.

სპორტსმენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანი დაესწრო.

„ნონა გაფრინდარული ყველა ქართველისთვის და მსოფლიოში უამრავი ადამიანისთვის არის ორი რამის სიმბოლო — ეს არის ინტელექტის და მეზრძოლი სულის გამარჯვება. ჩემთვის და ყველა ქართველისთვის ეს ადამიანი არის უაღრესად სათაყვანებელი“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ნონა გაფრინდარული — დიდოსტატი (1978). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978). 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მედალელი. ფიქსირებული ქალთა კომპიუტერული თანამშრომელი (1980-1986). საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი 1989-1996 წლებში, 1996 წლიდან მისი საპატიო პრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). თავისი თაობის მსოფლიოს უკლირესი მოჭადრაკე ქალი.

1978 წელს ნონა გაფრინდარული გახდა პირველი ქალი მოჭადრაკე, ვინაც დიდოსტატის წოდება მიენიჭა. 1997 წელს ფიქსირებული კომპიუტერული მედიაციის დანერგვა ნონა გაფრინდარული სახელობის თანხი, საჭადრაკო ოლიმპიადებზე, როგორც გადაცემა ქვეყნის ვაჟთა და ქალთა გუნდებს საუკეთესო ჯამური შედეგისათვის. 2001 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლეს.

გასულ წელს გიორგი მარგველაშვილმა ნონა გაფრინდარული „გრანდმასტერის ორდენით“ დააჯილდოვა.

ნინო ხეხუიაშვილის გამომცემლობა



მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
ბე-2 სართ.
599746810
790746810

ნიგნების ბეჭდვა

ქურნალ-
გაზათების
ბეჭდვა

ანყოფა,
დიზაინი,
დაკაბადონება